

რეზოლუცია MSC.143 (77)
(მიღებული 2003 წლის 5 ივნისს)

1988 წლის ოქმი, საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ 1966 წლის ცვლილებათა გათვალისწინებით

საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტი,

ითვალისწინებს რა, კომიტეტის ფუნქციებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მუხლი 28-ის (ბ) პარაგრაფს,

შემდგომში ითვალისწინებს რა, 1966 წლის სატვირთო მარკებზე არსებულ საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებულ 1988 წლის ოქმის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „1988 წლის სატვირთო მარკების ოქმი“) მუხლ VI -ს ცვლილებათა პროცედურების შესახებ,

განხილულ იქნა რა, კომიტეტის სამოცდამეჩვიდმეტე სესიაზე სატვირთო მარკების შესახებ არსებული 1988 წლის ოქმში შეტანილი ცვლილებები, რომელიც შეთავაზებულ და დამუშავებულ იმავე დოკუმენტის მუხლი VI-ის პარაგრაფი 2-ის (ა) პარაგრაფის შესაბამისად,

1. 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის მუხლი VI-ის პარაგრაფი 2-ის (დ) პარაგრაფის შესაბამისად, 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის დანართი (ბ)-ს ცვლილებათა შესახებ იღებს ტექსტს, რომელიც წინამდებარე რეზოლუციის დანართშია განსაზღვრული;
2. ადგენს 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის მუხლი VI-ის, პარაგრაფი 2-ის, პარაგრაფი (ვ)-ს, ქვეპუნქტების (იი) და (ბბ)-ს შესაბამისად, ხსენებული ცვლილებების 2004 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესვლას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის ერთი მესამედ მხარეებზე მეტ მხარეს ან მხარეებს, რომლებიც იმ სავაჭრო ფლოტებში არიან გაერთიანებულნი, რომლებიც მოიცავენ ყველა მხარის ყველა სავაჭრო ფლოტის მთლიანი ტონაჟის არანაკლებ 50%-ს არ იქნებიან წინააღმდეგნი აღნიშნულ ცვლილებათა ძალაში შესვლაზე;
3. იწვევს დაინტერესებულ მხარეებს, რათა აღნიშნონ, რომ 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის მუხლი VI-ის, პარაგრაფი 2-ის, პარაგრაფი (ზ)-ს შესაბამისად, ცვლილებები ძალაში შედის 2005 წლის 1 იანვარს მათ მიერ ზემოთ ხსენებული პარაგრაფი 2-ის მიღებისთანავე;
4. გენერალურ მდივანს სთხოვს 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის მუხლი VI-ის, პარაგრაფი 2-ის, პარაგრაფი (ე)-ს თანახმად მიაწოდოს მას წარმოდგენილი რეზოლუციის და ცვლილებების ტექსტის დამოწმებული ასლები, რომლებიც 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის ყველა მხარის დანართში შედის;

5. შემდგომში გენერალურ მდივანს სთხოვს წინამდებარე რეზოლუციის ასლების და მისი დანართების იმ ორგანიზაციების წევრებისათვის გაგზავნას, რომლებიც არ წარმოადგენენ 1988 წლის სატვირთო მარკების ოქმის მხარეებს.

დანართი

სატვირთო მარკების 1966 წლის საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებული 1988 წლის ოქმის დანართი (ბ) ცვლილებათა შეტანის შესახებ

- 1 დანართი (I)-დან დანართი (ბ)-ს ჩათვლით არსებულ ტექსტში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და შემდეგი დანართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დანართი I

სატვირთო მარკების განსაზღვრის რეგულაციები

თავი I

ზოგადი პირობა

რეგულაციებით მიჩნეულია, რომ ტვირთის, ბალასტის და სხვა საშუალებების ძირითადი თვისება და დასაწყობება წარმოადგენს გემის სტაბილურობის დაცვისა და გადაჭარბებული სტრუქტურული ზეწოლის თავიდან აცილების უპირველეს მახასიათებელს.

რეგულაციებით აგრეთვე მიჩნეულია, რომ სადაც საერთაშორისო მოთხოვნები არსებობს სტაბილურობაზე ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებზე, წინამდებარე მოთხოვნებია დაცული.

რეგულაცია 1

გემების მდგრადობა და დაზიანებისაგან დაცვა

- (1) ადმინისტრაცია უნდა დარწმუნდეს, რომ გემის ძირითადი სტრუქტურული მდგრადობა შეესაბამება წყალწყვას წყალზედა ბორტის განსაზღვრული სიმაღლის შესაბამისად.
- (2) გემი, რომლის დიზაინიც და კონსტრუქციაც უზრუნველყოფილია ორგანიზაციის შესაბამისი მოთხოვნების სრული დაცვით მათ შორის საზოგადოების კლასიფიკაცია, რომელიც ადმინისტრაციის ან ადმინისტრაციის შესაბამისი ეროვნული სტანდარტით არის აღიარებული რეგულაცია 2-1-ის დებულებების შესაბამისად, შეიძლება მდგრადობის მისაღებ დონედ ჩაითვალოს. ზემოთ მოცემული დებულებები გავრცელდება წინამდებარე დანართში მოცემულ ყველა სტრუქტურაზე, აღჭურვილობაზე ან აპარატურაზე, რომელთათვისაც მდგრადობისა და კონსტრუქციის პირდაპირი სტანდარტები გათვალისწინებული არ არის.
- (3) გემები უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციისათვის მისაღებ დაუზიანებლობის სტანდარტს.

რეგულაცია 2

გამოყენების პირობები

- (1) გემებს მექანიკური მართვის ძრავით ან ლიხტერებს, ბარჟებს ან სხვა ტიპის გემებს, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ძრავი წყალზედა ბორტი შეიძლება განესაზღვროთ 1-დან 40-მდე რეგულაციების დებულებების შესაბამისად.
- (2) გემებს, რომლებიც ახორციელებენ გემბანებზე ხე-ტყის მასალის გადაზიდვას ამავე რეგულაციის პარაგრაფ (1)-ში აღწერილთან ერთად წყალზედა ბორტი დამატებით შეიძლება განესაზღვროთ 41-დან 45-მდე რეგულაციების დებულებების თანახმად.
- (3) იალქნიანი გემებს მიუხედავად იმისა ეს მათი ერთადერთი საშუალებაა გადაადგილებისათვის, თუ დამატებითი და ასევე ბუქსირებიანი გემებს წყალზედა ბორტი უნდა განესაზღვროთ 1-დან 40-მდე რეგულაციების დებულებების შესაბამისად. წყალზედა ბორტის სიმაღლის დამატებითი განსაზღვრა შეიძლება მოთხოვნილ იქნას ადმინისტრაციის განსაზღვრის შესაბამისად.
- (4) ხის, კომპოზიტური კონსტრუქციის ან სხვა მასალის გემები, ან ის გემები, რომელთა გამოყენებაც ადმინისტრაციამ დაამტკიცა, ან რომელთა კონსტრუქციული მახასიათებლები წინამდებარე დანართის დებულებების გამოყენებას არამიზნობრივს ან პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მიჩნეულ უნდა იქნას ისეთი ტიპის წყალზედა ბორტებად, როგორც ამას ადმინისტრაცია განსაზღვრავს.
- (5) 10-დან 26-ის ჩათვლით რეგულაციები გავრცელდება ყველა იმ გემზე, რომელსაც სულ მცირე წყალზედა ბორტის სტატუსი აქვს მინიჭებული. აღნიშნული მოთხოვნების შემსუბუქების უფლების მინიჭება შესაძლებელია იმ გემებისათვის, რომლებიც მინიმალური მოთხოვნის მქონე წყალზედა ბორტზე დიდები არიან იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებული იქნება ადმინისტრაციის მოთხოვნები უსაფრთხოების პირობების არსებული თვალსაზრისით.
- (6) როდესაც ზაფხულის წყალზედა ბორტი ამადლებულია ისე, რომ შედეგად წყლისწყვა არ აღემატება ზაფხულის წყალზედა ბორტის მინიმალურ მოთხოვნებს იმავე გემისათვის, ხოლო სავარაუდო წყალზედა ბორტის გემბანი, რომელიც განთავსებულია არსებული წყალზედა ბორტის გემბანის გარკვეული მანძილით დაბლა სულ მცირე სტანდარტული დაშენების სიმაღლის ტოლია, განსაზღვრის პირობები რეგულაციების 12, 14-1, 20, 23, 24 და 25-ის შესაბამისად, კონკრეტული წყალზედა ბორტის გემბანისათვის შეიძლება იყოს გემბანის დაშენება ს მაგვარი.

(7) იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე დანართის რეგულაციები გავრცელდება იმ გემებზე, რომელთა კილებიც აწყობილია მათი აშენების დროს 2005 წლის 1 იანვრის შემდეგ.

(8) გემებისათვის, რომელთა კილებიც აწყობილია მათი აშენების დროს ან 2005 წლის 1 იანვრამდე, ადმინისტრაცია იძლევა გარანტიას მასზედ, რომ დაცული იქნება მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია სატვირთო მარკების 1966 წლის საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში, მოდიფიცირებულია 1988 წლის ოქმის მეშვეობით, რომელიც მიღებულია 1988 წლის კვლევისა და სერთიფიცირების ჰარმონიზირებული სისტემის საერთაშორისო კონფერენციაზე .

(9) მაღალი სიჩქარის ხომალდი, რომელიც შეესაბამება მაღალი სიჩქარის ხომალდების უსაფრთხოების 2000 წლის საერთაშორისო კოდექსის მოთხოვნებს (2000 HSC Code), რომელიც მიღებულია ორგანიზაციის საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის მიერ MSC.97(73) რეზოლუციის მეშვეობით და რომელიც შესწავლილი და დამოწმებულია კოდექსის თანახმად, ითვალისწინებს წინამდებარე დანართის მოთხოვნების დაცვას. 2000 წლის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად გაცემულ სერთიფიკატებს და უფლებებს მიენიჭებათ იგივე ძალა და იგივე

აღიარება, რა ძალასაც წინამდებარე დანართის შესაბამისად გაცემული სერთიფიკატები ფლობენ.

რეგულაცია 2-1

აღიარებული ორგანიზაციებისათვის უფლებამოსილების მინიჭება

კონვენციის მე-13-ე მუხლში და რეგულაცია 1 (2)-ში ხსენებულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის კლასიფიცირებულმა საზოგადოებებმა უნდა დაიცვან ორგანიზაციის მიერ A.739(18) რეზოლუციით მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებშიც ორგანიზაციის მიერ შეიძლება იქნას შეტანილი ცვლილებები, და A.739(18) რეზოლუციით ორგანიზაციის მიერ მიღებულ სპეციფიკაციებში შეიძლება ორგანიზაციის მიერ იქნას შეტანილი ცვლილებები იმ პირობით, რომ აღნიშნული ტიპის ცვლილებები მიღებულია, შესულია ძალაში და მოქმედებენ წინამდებარე ოქმის მუხლი VI-ის დებულებების შესაბამისად.

რეგულაცია 3


დანართებში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

(1) სიგრძე


(a) სიგრძე (L) აღებულ იქნება, როგორც 96% მთლიანი სიგრძის წყლის ხაზის 85%-ზე სულ მცირე ბორტის თეორიულად გაზომილი სიმაღლე კილის ზემოდან, ან სიგრძე ხომალდის

ცხვირიდან საჭის ღერძამდე იმავე წყლის ხაზზე, თუ ის უფრო დიდია.

- (b) გემებისათვის, რომელთაც არ აქვთ საჭე, სიგრძე (L) აღებული იქნება 96% წყლის ხაზზე სულ მცირე 85% ბორტის თეორიული სიღრმიდან.
- (c) როდესაც გემის ღერძის კონტური მოღუნული ფორმისაა წყლის ხაზის ზემოთ ბორტის თეორიული სიღრმის სულ მცირე 85%-ზე, მთლიანი სიგრძის როგორც წინა ტერმინალი ასევე ხომალდის ცხვირის ღერძი შესაბამისად აღებულ უნდა იქნას ვერტიკალურ პროექციაზე ღერძის კონტურის მომდევნო წერტილის იმავე წყლის ხაზზე (იმავე წყლის ხაზის ზემოთ) (იხილეთ, გამოსახულება 3.1).
- (d) გემებზე, რომლებიც შექმნილია დახრილი კილით წყლის ხაზი, რომელზეც სიგრძე იზომება უნდა იყოს განკუთვნილი წყლის ხაზის პარალელური სულ მცირე ბორტის თეორიული სიღრმის D_{min} 85 %-ზე, გამოკვეთილი პარალელური ხაზის გავლებით გემის კილის ხაზზე (მათ შორის სკეგი) წყალზედა ბორტის გემბანის ბორტის თეორიულ ხაზთან მიმართებაში. ბორტის თეორიული სიმაღლე არის ვერტიკალური დისტანციის გაზომილი კილის წვერიდან ხომალდის გემბანის წვერამდე შეხების წერტილის მხარეზე (იხილეთ გამოსახულება 3.2).



გამოსახულება 3.1



გამოსახულება 3.2

- (1) *პერპენდიკულარული.* პერპენდიკულარები წინ და შემდეგ აღებულ იქნება სიგრძის (L) დაბოლოების წინ და შემდეგ. წინა პერპენდიკულარი უნდა ემთხვეოდეს ხომალდის ცხვირის ღერძს წყლის ხაზზე, რომელზეც იზომება სიგრძე.
- (2) *გემის შუაგული.* გემის შუაგული არის სიგრძის შუაში (L).
- (3) *სიგანე.* გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, სიგანე (B) არის გემის მაქსიმალური სიგანე, გაზომილი გემის შუაგულიდან ბორტის თეორიულ ხაზამდე გემებში ჩარჩოების ლითონის გარსით და გემებში კორპუსის გარე ზედაპირამდე ნებისმიერი სხვა მასალის გარსით.
- (4) *ბორტის თეორიული სიმაღლე*
 - (a) ბორტის თეორიული სიმაღლე არის ვერტიკალური დისტანცია გაზომილი კილიდან წყალზედა ბორტის გემბანის კოჭის წვერამდე გვერდზე. ხის და კომპოზიტურ გემებში მანძილი იზომება კილის პატარა ღარის დაბალი ნაპირიდან. როდესაც გემის შუაგული სექციის დაბალ ნაწილში ფორმა არის ჩაღრმავებული ხასიათის, ან როდესაც სქელი ხის ფირფიტებია დამაგრებული მანძილი იზომება წერტილიდან, სადაც ბრტყელი ფსკერის ხაზი გაგრძელებულია კილის კუთხის ჭრილებში.
 - (b) გემებში, რომელთაც გემბანის ბორტთან მომრგვალებული შეერთების ადგილები აქვთ, ბორტის თეორიული სიმაღლე იზომება გემბანის ბორტის ხაზების გადაკვეთის წერტილზე და კუთხეებზე, ხაზები გრძელდება კუთხოვანი დიზაინის შეერთების ადგილების მეშვეობით. I
 - (c) როდესაც წყალზედა ბორტის გემბანი საფეხურებიანია და გემბანის ამაღლებული ნაწილი უფრო მაღალია იმ წერტილზე, რომელზეც ბორტის თეორიული სიმაღლე უნდა განისაზღვროს, ბორტის თეორიული სიმაღლე უნდა გაიზომოს მითითებული ხაზის გაგრძელებით გემბანის დაბალი ნაწილიდან პარალელური ხაზის გასწვრივ ამაღლებული ნაწილით.
- (5) *წყალზედა ბორტის სიმაღლე (D)*
 - (a) წყალზედა ბორტის სიმაღლე (D) არის გემის შუაგულის ბორტის თეორიული სიმაღლე, რასაც ემატება წყალზედა ბორტის გემბანის სისქე კუთხეზე.
 - (b) წყალზედა ბორტის სიმაღლე (D) იმ გემებში, რომლებიც ფლობენ

გემბანის შეერთების მომრგვალებულ ადგილებს 4%-ზე მეტი სიგანის (B) რადიუსით, ან მათ რომელთაც ზედა მხარე უჩვეულო ფორმის აქვთ წყალზედა ბორტის სიმაღლე, რომელთაც გემის შუაგულის განყოფილება ვერტიკალური ზედა კუთხეებით და იმავე ტიპის მრგვალი კოჭებით აქვთ უზრუნველყოფილი, ზედა მხარის განყოფილება გემის არსებული შუაგულის განყოფილების ტოლია.

(6) *ბლოკირების კოეფიციენტი*

(a) ბლოკირების კოეფიციენტი (C_b) მოცემულია შემდეგნაირად:

$$C_b = \frac{\nabla}{L \cdot B \cdot d_1} ; \text{ როდესაც}$$

∇ არის გემის თეორიული წყალში გადაადგილების მოცულობა, დანამატების გარეშე გემში ლითონის გარსით და არის წყალში გადაადგილების მოცულობა გემებზე კორპუსის გარე ზედაპირთან მიმართებაში სხვა ნებისმიერი მასალის გარსით, ორივე მიღებულია ბორტის თეორიულ წყალწყვაზე d_1 -ის; და როდესაც

d_1 შეადგენს ბორტის თეორიული სიღრმის სულ მცირე 85% -ს.

(b) როდესაც ითვლება ბლოკირების კოეფიციენტი მრავალ კორპუსიან გემზე, მთლიანი სიგანე (B) პარაგრაფ (4)-ში მოცემულის შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული და არა ერთი კორპუსის სიგანე.

(8) *წყალზედა ბორტი*. განსაზღვრული წყალზედა ბორტის მანძილი გაზომილია ვერტიკალურად დაბლა გემის შუაგულზე გემბანის ხაზის ზედა ნაპირიდან შესაბამისი დატვირთვის ხაზის ზედა ნაპირამდე.

(9) *წყალზედა ბორტის გემბანი*

(a) წყალზედა ბორტის გემბანი, როგორც წესი ყველაზე მაღლა განთავსებული გემბანია, რომელზეც გავლენა ამინდის და ზღვის პირობების შესაბამისად ხდება, რომელსაც გააჩნია ამინდის ყველა პირობებში ღიობების მუდმივი დახურვის მნიშვნელობა და რომელი ღიობების დაბლაც გემის კუთხეებში აღჭურვილია წყალგაუმტარი უწყვეტი დახურვის საშუალებებით.

(b) ქვედა გემბანი, როგორც წყალზედა ბორტის გემბანი

მფლობელის სურვილის და ადმინისტრაციის დასტურის

შესაბამისად დაბალი გემბანი შეიძლება განისაზღვროს, როგორც წყალზედა ბორტის გემბანი იმ პირობით, რომ ის არის სრული და უწყვეტი გემბანი, რომელიც გრძელდება წინა და უკანა მიმართულებაში სულ მცირე მექანიზმის სივრცესა და ზღვრულ ტიხრებს შორის და ხომალდის განივზე.

- (i) როდესაც აღნიშნული დაბალი გემბანი საფეხურებიანია გემბანის ყველაზე დაბალი ხაზი და აღნიშნული პარალელური ხაზის გაგრძელება გემბანის ზედა ნაწილთან მიღებულია, როგორც წყალზედა ბორტის გემბანი.
- (ii) როდესაც დაბალი გემბანი განსაზღვრულია, როგორც წყალზედა ბორტის გემბანი გემის კორპუსის ის ნაწილი, რომელიც გრძელდება წყალზედა ბორტის გემბანის ზემოთ

განიხილება, როგორც დაშენება იმ პირობით, როგორც ამას განსაზღვრის პირობების და წყალზედა ბორტის გათვლა საჭიროებს. ეს არის იმ გემბანიდან, რომლიდანაც წყალზედა ბორტია გამოთვლილი.


- (iii) როდესაც დაბალი გემბანი განსაზღვრულია, როგორც წყალზედა ბორტი, ასეთი ტიპის გემბანი უნდა შედგებოდეს სულ მცირე შესაბამისი კარკასის სტრინგერებისაგან გემის კუთხეებზე და განივად ყოველ წყალგაუმტარ ტიხარზე, რომელიც გრძელდება ზედა გემბანზე ტვირთის განთავსების სივრცეების ფარგლებში. აღნიშნული სტრინგერების სიგანე არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ეს საჭიროა სტრუქტურის მარტივად დასამონტაჟებლად და გემის ოპერირებისათვის. სტრინგერების ნებისმიერი ტიპის მონტაჟი ისე უნდა იქნას შესრულებული, რომ არ დაირღვეს მოქმედი სტრუქტურული მოთხოვნები.

- (c) წყვეტილი წყალზედა ბორტის გემბანი, საფეხურებიანი წყალზედა ბორტის გემბანი

- (i) როდესაც წყალზედა ბორტის გემბანში ჩაღრმავება გრძელდება გემის კუთხეებამდე და სიგრძეში აღემატება ერთ მეტრს, დაუცველი გემბანის ყველაზე დაბალი ხაზი და აღნიშნული პარალელური ხაზის გაგრძელება გემბანის ზედა ნაწილამდე მიიჩნევა, როგორც წყალზედა ბორტის გემბანი (იხილეთ, გამოსახულება 3.3).
- (ii) იქ სადაც წყალზედა ბორტის გემბანში ჩაღრმავება არ

გრძელდება გემის კუთხეებამდე, გემბანის ზედა ნაწილი წყალზედა ბორტის გემბანად მიიჩნევა.

- (iii) ჩაღრმავებები, რომლებიც არ გრძელდება დაუცველი გემბანის დაბლა არსებულ გემბანში კუთხიდან კუთხემდე, რომელიც წყალზედა ბორტის გემბანად არის მიჩნეული შეიძლება იგნორირებულ იქნას იმ პირობით, თუ ყველა ღიობი კარგი ამინდის გემბანზე დამონტაჟებულია წყალგაუმტარი დახურვის მოწყობილობებით.
- (iv) სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს დაუცველი ჩაღრმავებების სანიაღვრე სისტემას და იმ ზედაპირებს, რომლებიც არ დგანან რაიმე ტიპის გავლენის ქვეშ მდგრადობის თვალსაზრისით.
- (v) ქვეპარაგრაფების (i) - (iv)-ში მოცემული დებულებები არ არის განკუთვნილი მცურავი დრაგებისათვის, ბუნკერიანი ბარჟებისათვის და სხვა ამავე ტიპის გემებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ფართო ღია დამჭერები, რომლებშიც თითოეული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას.



გამოსახულება 3.3

(10) დაშენება

- (a) დაშენება წარმოადგენს დაგებული გემბანის სტრუქტურას წყალზედა ბორტის გემბანზე, რომელიც გრძელდება გემის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე ან გვერდითა მოპირკეთებული მხარიდან, რომელიც არ წარმოადგენს ბორტს შიდა გარსს სიგანის (B) 4%-ზე მეტს.
- (b) დახურული დაშენება წარმოადგენს დაშენებას შემდეგ საშუალებებთან ერთად:
 - (i) ეფექტური მშენებლობის გარშემორტყმული ტიხრები;

- (ii) ლიუკები არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ ტიხარში დამონტაჟებული კარებებით, რომლებიც შეესაბამება რეგულაცია 12-ის მოთხოვნებს;
- (iii) ყველა სხვა ღიობი კუთხეებში ან დაშენების ბოლოებში, რომელიც დამონტაჟებულია ამინდის პირობებთან მდგრადი ეფექტური დახურვის საშუალებებით.

ხიდი ან კიჩო არ უნდა იქნას განხილული ისე, თითქოს დახურულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წვდომა უზრუნველყოფილია ეკიპაჟისათვის ნებისმიერი წერტილის დასაწყისიდან უმაღლეს სრულად გახსნილ გემბანზე ან უფრო მაღალზე არსებულ მექანიზმთან და სხვა სამუშაო სივრცეებთან, რომლებიც აღნიშნული დაშენების შიგნითაა განთავსებული მისაღწევად ალტერნატიული საშუალებებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ყოველთვის, როდესაც ტიხრების ღიობები დახურულია.

- (c) დაშენების სიმაღლე არის ყველაზე ნაკლებად ვერტიკალური სიმაღლე გაზომილი კუთხეზე გემბანის დაშენება ს კოჭების ზემოდან წყალზედა ბორტის გემბანის კოჭების ზედა ნაწილამდე.
- (d) დაშენების სიგრძე (S) არის დაშენების ნაწილის საშუალო სიგრძე, რომელიც სიგრძის (L) ფარგლებშია განთავსებული.
- (e) ხიდი. ხიდი არის დაშენება, რომელიც არც წინ არის გაგრძელებული და არც პერპენდიკულარის შემდეგ.
- (f) კიჩო. კიჩო არის დაშენება, რომელიც გრძელდება პერპენდიკულარიდან წინ იმ წერტილამდე, რომელიც პერპენდიკულარის წინა ცხვირს წარმოადგენს. კიჩო შეიძლება წამოვიდეს ხომალდის წინა პერპენდიკულარული ცხვირის წერტილიდან.
- (g) ნახევრადავზი. ნახევრადავზი არის დაშენება, რომელიც გრძელდება პერპენდიკულარული ცხვირიდან წერტილამდე, რომელიც კიჩოზე პერპენდიკულარულის წინაა. ნახევრადავზი შეიძლება გამოდიოდეს წინა პერპენდიკულარულის წინა წერტილიდან.
- (h) სრული დაშენება. სრული დაშენება არის დაშენება, რომელიც გრძელდება სულ მცირე წინიდან პერპენდიკულარის შემდეგ.
- (i) შემადლებული კვარტერდეკი. შემადლებული კვარტერდეკი არის დაშენება, რომელიც გრძელდება პერპენდიკულარის შემდეგ წინ, როგორც წესი გააჩნია სიმაღლე ნორმალურ დაშენებაზე ნაკლები

და აქვს ინტაქტური წინა ტიხარი (ილუმინატორები, რომლებიც არ იღება და დამონტაჟებულია ყრუ და ადამიანის მიერ მართვადი რეზბისებურილი ჩამკეტი სახურავებით) (იხილეთ, გამოსახულება 3.4). იქ სადაც წინა ტიხარი არ არის ინტაქტური კარებების და ლიუკების გამო დაშენება კიჩოდ იქნება მიჩნეული.





Figure 3.4

- (11) გემბანის დაშენება . გემბანის დაშენება არის გემბანი, რომელიც ქმნის დაშენების ზედა საზღვარს.

- (12) *გემბანიანი გემი.* გემბანიანი გემი წარმოადგენს გემს, რომელსაც არ გააჩნია დაშენება წყალზედა ბორტზე.
- (13) *ამინდის პირობებთან მდგრადი.* ამინდის პირობებთან მდგრადი ნიშნავს, რომ ზღვრის ნებისმიერი პირობების დროს წყალი ვერ შეაღწევს გემში.
- (14) *წყალგაუმტარი.* წყალგაუმტარი ნიშნავს წყლის სტრუქტურაში გავლის პრევენციის საშუალებას ნებისმიერ მიმართულებაში შესაბამისი მდგრადობის საზღვარით წყლის ნაკადის მაქსიმალური წნევის ქვეშ, რომელთანაც როგორც წესი უნდა იყოს მდგრადი.
- (15) *წყალსატევი.* წყალსატევი არის ადგილი გემბანზე, რომელიც ამინდის პირობებთან დაუცველია, სადაც წყალი შეიძლება იქნას შეფერხებული. წყალსატევები ითვლება გემბანის სივრცეებად, რომლებიც შემოსაზღვრულია ორ ან მეტ კუთხეზე გემბანის კონსტრუქციებით.

რეგულაცია 4 გემბანის ხაზი

გემბანის ხაზი არის სიგრძეში 300 მმ-იანი ჰორიზონტალური ხაზი და 25 მმ-იანი სიგანეში. ეს უნდა აღინიშნოს გემის თითოეული მხარის შუაგულზე და მისი ზედა ზღვარი როგორც წესი გადის წერტილის მემკვიდრით სადაც წყალზედა გემბანის ზედა ზედაპირის გაგრძელება კვეთავს გარსის გარე ზედაპირს (გამოსახულება 4.1-ში ილისტრირებული შესაბამისად) იმ პირობით, რომ გემბანის ხაზი შეიძლება განთავსდეს გემზე სხვა ფიქსირებულ წერტილზე მითითებით ისე, რომ წყალზედა ბორტი შესაბამისად იქნას კორექტირებული. საცნობარო წერტილის ლოკაცია და წყალზედა ბორტის გემბანის იდენტიფიკაცია ყველა შემთხვევაში მითითებულ იქნება საერთაშორისო ხაზის სატვირთო სერტიფიკატზე.



გამოსახულება 4.1 გემბანის ხაზი

რეგულაცია 5

ხაზის სატვირთო მარკა

ხაზის სატვირთო მარკა უნდა შედგებოდეს რგოლისაგან 300 მმ-იანი გარე დიამეტრით და 25 მმ-იანი სიგანით, რომელიც იკვეთება ჰორიზონტალური ხაზით 450 მმ-იანი სიგრძით და 25 მმ-იანი სიგანით, რომლის ზედა ზღვარიც გადის რგოლის ცენტრში. რგოლის ცენტრი განთავსდება გემის შუაგულში და მანძილზე, რომელიც განსაზღვრული საზაფხულო წყალზედა ბორტის ტოლია, რომელიც გაზომილია ვერტიკალურად გემბანის ხაზის ზედა ზღვარის დაბლა (გამოსახულება 6.1-ში ილუსტრირებული შესაბამისად).

რეგულაცია 6


ხაზის სატვირთო მარკასთან გამოსაყენებელი ხაზები

- (1) ხაზები, რომლებიც აღნიშნავენ სატვირთო ხაზს წინამდებარე დოკუმენტში მოცემული რეგულაციების შესაბამისად შეადგენენ ჰორიზონტალურ ხაზებს 230 მმ-ს სიგრძეში და 25 მმ-ს სიგანეში, რომლებიც წინ მიიწევენ გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული და მარჯვენა ნაპირზე ვერტიკალურ ხაზზე 25 მმ სიგანით აღნიშნული 540 მმ-იან მანძილზე რგოლის ცენტრის წინ (გამოსახულება 6.1-ში ილუსტრირებული შესაბამისად).
- (2) შემდეგი სატვირთო ხაზები უნდა იქნას გამოყენებული:
 - (a) ზაფხულის პერიოდის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის ზედა ზღვარით, რომელიც გადის რგოლის ცენტრში და აგრეთვე აღნიშნულია ხაზის S მარკით.
 - (b) ზამთრის პერიოდის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის W მარკის ზედა ზღვარით.
 - (c) ზამთრის პერიოდის ჩრდილო ატლანტიკური სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის WNA მარკის ზედა ზღვარით.
 - (d) ტროპიკული სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის T მარკის ზედა ზღვარით.
 - (e) მტკნარი წყლის სატვირთო ხაზი ზაფხულში განსაზღვრულია ხაზის F მარკის ზედა ზღვარით. მტკნარი წყლის სატვირთო ხაზი ზაფხულის პერიოდში მარკირებულია ვერტიკალური ხაზის კიჩოზე. განსხვავება ზაფხულის პერიოდში მტკნარი წყლის სატვირთო ხაზსა და ზაფხულის პერიოდის სატვირთო ხაზს შორის დატვირთვის საშუალებას იძლევა მტკნარ წყალში სხვა სატვირთო ხაზებზე.


ტროპიკული მტკნარი წყლის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის TF მარკის ზედა ზღვარით და მარკირებული ვერტიკალური ხაზის კიჩოზე.

- (3) იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის მასალის წყალზედა ბორტი განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტში მოცემული რეგულაციების შესაბამისად, ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზი უნდა აღინიშნოს ჩვეულებრივი ხაზის სატვირთო დამატებით. აღნიშნული ხაზები უნდა წარმოადგენდნენ ჰოროზონტალურ ხაზებს 230 მმ-იანი სიგრძით და 25 მმ-იანი სიგანით, რომელიც გრძელდება კიჩოზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული და მარჯვენა ნაპირზე ვერტიკალურ ხაზზე 25 მმ სიგანით აღნიშნული 540 მმ-იან მანძილზე კიჩოზე რგოლის ცენტრის წინ (გამოსახულება 6.2-ში ილუსტრირებული შესაბამისად).
- (4) ხე-ტყის მასალის შემდეგი სატვირთო ხაზები უნდა იქნას გამოყენებული:
- (a) ზაფხულის პერიოდის ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის LS მარკის ზედა ზღვარით.
 - (b) ზამთრის პერიოდის ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის LW მარკის ზედა ზღვარით.
 - (c) ზამთრის პერიოდის ჩრდილო ატლანტიკური სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის LWNA მარკის ზედა ზღვარით.
 - (d) ტროპიკული ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის LT მარკის ზედა ზღვარით.
 - (e) მტკნარი წყალის ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზი ზაფხულის პერიოდში განსაზღვრული ხაზის LF მარკის ზედა ზღვარით და მარკირებული ვერტიკალური ხაზის წინ. განსხვავება ზაფხულის პერიოდში მტკნარი წყლის ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზსა და ზაფხულის პერიოდის ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზს შორის დატვირთვის საშუალებას იძლევა მტკნარ წყალში სხვა ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზებზე.
 - (f) ტროპიკული მტკნარი წყლის ხე-ტყის მასალის სატვირთო ხაზი განსაზღვრული ხაზის LTF მარკის ზედა ზღვარით და მარკირებული ვერტიკალური ხაზის წინ.
- (5) როდესაც გემის მახასიათებლები ან გემის მომსახურების ბუნება ან სანავიგაციო ლიმიტები ხდის ნებისმიერ სეზონურ ხაზს შეუსაბამოს, აღნიშნული ხაზები შეიძლება იქნეს გამოტოვებული.
- (6) როდესაც გემი განსაზღვრულია, რომ არის წყალზედა ბორტის მინიმუმზე დიდი ისე, რომ სატვირთო ხაზი მარკირებულია შესაბამის

- (7) როდესაც ზამთრის პერიოდის ჩრდილო ატლანტიკური სატვირთო ხაზი იდენტურია ზამთრის პერიოდის ხაზის სატვირთო იმავე ვერტიკალური ხაზის შესაბამისად, აღნიშნული სატვირთო ხაზი W -თი იქნება მარკირებული.
- (8) ალტერნატიული/დამატებითი სატვირთო ხაზები მოთხოვნილი საერთაშორისო სხვა ძალაში მყოფი კონვენციებით შეიძლება მარკირებულ იქნას მარჯვენა ნაპირზე და პარაგრაფ (1)-ში განსაზღვრულ კიხოს ვერტიკალურ ხაზზე.



**გამოსახულება 6.1 ხაზის სატვირთო მარკა და აღნიშნულ მარკებთან
გამოსაყენებელი ხაზები**



გამოსახულება 6.2 ხე-ტყის მასალის ხაზის სატვირთო მარკა და აღნიშნულ მარკებთან გამოსაყენებელი ხაზები

რეგულაცია 7

უფლებამოსილების მინიჭების აღნიშვნა

ორგანოს მარკა ვის მიერაც არის სატვირთო ხაზები მინიჭებული შეიძლება განსაზღვრულ იქნას სატვირთო ხაზის რგოლის გასწვრივ ჰორიზონტალური ხაზის ზემოთ, რომელიც გადის რგოლის ცენტრში, ან მის ზემოთ ან ქვემოთ. აღნიშნული მარკა უნდა შედგებოდეს არა უმეტეს ოთხი ინიციალისა იმისათვის, რომ განისაზღვროს ორგანოს დასახელება, თითოეული ზომა დაახლოებით 115 მმ სიმაღლისაა და 75 მმ სიგანის.

რეგულაცია 8

მარკირების დაწვრილებითი ინფორმაცია

რგოლი, ხაზები და ასოები უნდა შეიღებოს თეთრად ან ყვითლად მუქ ფონზე, ან შავად ღია ფერის ფონზე. ისინი აგრეთვე მუდმივად უნდა იყოს მარკირებული გემის კუთხეებზე ადმინისტრაციის მოთხოვნების შესაბამისად. მარკები მკაფიოდ უნდა ჩანდეს და თუ საჭიროა სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს აღნიშნული მიზნით.

რეგულაცია 9

მარკების შემოწმება

საერთაშორისო სატვირთო ხაზის სერთიფიკატი არ უნდა იქნას გემისათვის გაცემული, სანამ ოფიცერი ან ზედამხედველი, რომლებიც კონვენციის მუხლი 13-ის დებულებების შესაბამისად მოქმედებენ არ დაადასტურებენ, რომ მარკები არის სწორი და მუდმივად მითითებულია გემების კუთხეებზე.

თავი II

წყალზედა ბორტის განსაზღვრის პირობები

რეგულაცია 10

კაპიტნისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია

- (1) ყოველი ახალი გემის კაპიტანი უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინფორმაციით მისი გემის დატვირთვის და ბალასტიტ დატვირთვას ორგანიზების შესახებ ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული გემის კონსტრუქციაზე არასასურველი სტრესის არსებობა იმ პირობით, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ გავრცელდება გემის იმ კონკრეტული სიგრძის, კონსტრუქციის ან კლასის გამოყენებაზე, რომლებსაც ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო.
- (2) ინფორმაცია უნდა მიეწოდოს კაპიტანს იმ ფორმით, რასაც დაადასტურებს ადმინისტრაცია ან აღიარებული ორგანიზაცია.

მდგრადობის და დატვირთვის ინფორმაცია აგრეთვე დაკავშირებულია გემის გამძლეობასთან, როდესაც პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად საჭიროა ყოველთვის ბორტის მეშვეობით გადაზიდვა იმის მტკიცებულებით, რომ ინფორმაცია დამოწმებულია ადმინისტრაციის მიერ.

- (3) გემი, რომელსაც არ მოეთხოვება საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად ზღვაში ცხოვრების დროს უსაფრთხოება იძულებულია გაიაროს გადახრის ტესტი, ხოლო მისი დასრულების შემდეგ:
- (a) უნდა იყოს ისე გადახრილი და ფაქტიური გადაადგილება და გრავიტაციის ცენტრის პოზიცია უნდა იქნას განსაზღვრული მოცურავე შუქურას პირობის შესაბამისად;
 - (b) იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია ასე ამტკიცებს, რომ თავისი გადახრის ტესტი შესრულებაზე გადანაწილდა, იმ პირობით, რომ ძირითადი მდგრადობის მონაცემები ხელმისაწვდომია იმავე ტიპის გემის დახრის ტესტიდან და გვიჩვენებს ადმინისტრაციისათვის დასაკმაყოფილებლად, რომ მდგრადობის ინფორმაცია გემისათვის შეიძლება მიღებულ იქნას აღნიშნული ძირითადი მონაცემებისაგან;
 - (c) იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია გადაწყვიტავს, რომ გადახრის ტესტის შესრულების ტექნიკური მახასიათებლები არ არის პრაქტიკული, უსაფრთხო ან იძლევა არაზუსტ შედეგებს სპეციფიკური პროპორციების, მექანიზმების, მდგრადობის ან გემის კორპუსის ფორმის გამო, გააჩნია გემის მოცურავე შუქურას მახასიათებლები განსაზღვრული წონის დაწვრილებითი შეფასებით, რომელიც დამოწმებულია მსუბუქი წონის კვლევით;
 - (d) იქონიოს ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულია მისი კაპიტნისათვის გამოსაყენებლად, ვინაიდან სავალდებულოა, რათა კაპიტანს შეეძლოს სწრაფად და მარტივად მიიღოს ზუსტი სახელმძღვანელო პრინციპები გემის მდგრადობისათვის ყველა პირობების შესაბამისად, რომლებიც ხელს უწყობს გემის ნორმალურ ექსპლუატაციას; და
 - (e) ბორტზე განახორციელოს ყველა დროისათვის შესაფერის დამტკიცებული ინფორმაცია მდგრადობის შესახებ იმ მტკიცებულებასთან ერთად, რომელი ინფორმაციაც დამოწმებულია ადმინისტრაციის მიერ.
- (4) როდესაც გარკვეული ცვლილებებია შეტანილი გემზე, რაც არსებით გავლენას მოახდენს, როგორც დატვირთვის ასევე მდგრადობის შესახებ კაპიტნისათვის მიწოდებულ ინფორმაციაზე, აღნიშნული ტიპის ცვლილებათა შესახებ კაპიტანს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია

უკლებლივ. საჭიროების შემთხვევაში გემი ხელახლა უნდა იქნას გადახრილი.

რეგულაცია 11

დაშენება და ტიხრები

ტიხრები ღია ბოლოებზე დახურული დაშენებების უნდა იყოს მდგრადობის შესაბამის მისაღებ დონეზე უზრუნველყოფილი.

რეგულაცია 12

კარებები

- (1) ყველა ლიუკი ტიხრებში დახურული დაშენებების ბოლოებზე აღჭურვილი უნდა იყოს ფოლადის ან სხვა შესაბამისი მასალის კარებებით, პერმანენტულად და მყარად მიმაგრებული ტიხრებთან, ჩარჩოში ჩასმული, გამაგრებული და აღჭურვილი ისე, რომ მთლიანი კონსტრუქცია იყოს შესაბამისად მდგრადი, რათა თავიდან იქნას აცილებული ტიხრების გარღვევა და იყოს ამინდის პირობებთან მდგრადი დახურვის დროს. აღნიშნული კარებების ამინდის პირობებთან მდგრადობის ხელშემწყობი საშუალებები უნდა შედგებოდეს შუასადებების და ხამუტებისაგან, ან სხვა შესაბამისი საშუალებებისაგან და მუდმივად უნდა იქნას მიმაგრებული ტიხრებზე ან კარებებზე, ხოლო კარებები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ მათ შეეძლოთ ტიხრის ორივე მხარედან ოპერირება.
- (2) გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის ნება დართული ადმინისტრაციის მიერ, კარებები უნდა იღებოდეს გარეთ, რათა დამატებითი უსაფრთხოება იქნას უზრუნველყოფილი ზღვის გავლენის წინააღმდეგ.
- (3) გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის უზრუნველყოფილი წინამდებარე რეგულაციებში, ლიუკების ზღურბლების სიმაღლე ტიხრებში დახურული დაშენებების ბოლოებში უნდა შეადგენდეს სულ მცირე 380 მმ-ს გემბანის ზემოთ.

- (4) პორტატული ზღურბლის გამოყენება დაუშვებელია. თუმცა მძიმე სათადარიგო ნაწილების ან მსგავსი ტიპის დატვირთვა/ჩამოტვირთვის უზრუნველსაყოფად პორტატული ზღურბლი შეიძლება იქნას დამონტაჟებული შემდეგი პირობებით:
- (a) მათი დამონტაჟება შესაძლებელია სანამ გემი პორტიდან გავა; და
 - (b) უნდა მოხდეს მათი გამჭიდროვება და გამყარება ერთმანეთთან ახლოს ჭანჭიკების მეშვეობით.

რეგულაცია 13

ლიუკების, ბორტზე შესასვლელების და ვენტილატორების პოზიცია

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული რეგულაციების მიზნობრიობიდან გამომდინარე ლიუკების, ბორტზე შესასვლელების და ვენტილატორების ორი პოზიცია განსაზღვრულია შემდეგნაირად:

პოზიცია 1 - ღია წყალზედა ბორტი და ამდლებული კვარტერ-დეკები, ღია გემბანის დაშენება განთავსებული იმ წერტილის წინ, რომელიც განთავსებულია ცხვირის პერპენდიკულარიდან გემის მთლიანი სიგრძის მეოთხედ ნაწილზე.

პოზიცია 2 - ღია გემბანის დაშენება განთავსებული კიბოზე ცხვირის პერპენდიკულარიდან გემის მთლიანი სიგრძის მეოთხედ ნაწილზე და განთავსებულია დაშენების სულ მცირე ერთ სტანდარტულ სიმაღლეზე წყალზედა ბორტის გემბანის ზემოთ.

რეგულაცია 14

ტვირთი და სხვა ლიუკები

- (1) ტვირთის და სხვა ლიუკების კონსტრუქცია და დამცავი საშუალებები ამინდის პირობებთან მდგრადობისათვის პოზიცია 1-სა და 2-ში უნდა შეესაბამებოდეს სულ მცირე რეგულაცია 16-ის მოთხოვნებს, თუ რეგულაცია 15 -ის გამოყენება აღნიშნული ტიპის ლიუკებთან არ არის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული.
- (2) ლიუკების სახურავები და კომინგსები გემბანებზე ღია ლიუკებისათვის გემბანის დაშენება ს ზემოთ უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს.

რეგულაცია 14-1

ლიუკების კომინგსები

- (1) ლიუკების კომინგსები უნდა იყოს საიმედო კონსტრუქციის მათი პოზიციის შესაბამისად და მათი სიმაღლე გემბანის ზემოთ უნდა იყოს სულ მცირე:
 - (a) პოზიცია 1-ის შემთხვევაში 600 მმ; და

(b) პოზიცია 2-ის შემთხვევაში 450 მმ.

- (2) ლიუკების შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება რეგულაცია 16-ის ქვეპუნქტებს (2) - (5)-ს, აღნიშნული კომინგსების სიმაღლე შეიძლება შემცირდეს, ან საერთოდ იქნას ამოღებული მათი საჭიროება იმ პირობით, რომ ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ გემის უსაფრთხოებას არ შეეშლება ხელი აღნიშნულიდან გამომდინარე ზღვის ნებისმიერი პირობების დროს.

რეგულაცია 15

ლიუკები დახურული პორტატული სახურავებით და დაცული ამინდის პირობებთან გამძლე (წყალგაუმტარი) ბრეზენტით და ფუცრული ტიხრებით

ლიუკების სახურავები

- (1) ლიუკების სახურავების ყოველი დამცავი ზედაპირის სიგანე უნდა შეადგენდეს 65 მმ-ს.
- (2) როდესაც სახურავები ხის მასალისგანაა დამზადებული, დასრულებული სისქე უნდა შეადგენდეს სულ მცირე 60 მმ-ს ინტერვალის ჩათვლით არა უმეტეს 1.5 მ.
- (3) როდესაც სახურავები დამზადებულია რბილი ფოლადისაგან, სიმძლავრე უნდა იქნას გამოთვლილი რეგულაცია 16-ის ქვეპუნქტების (2)-(4)-ში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად და აქედან გამომდინარე პროდუქტის მაქსიმალური გამოთვლილი სტრესი და ფაქტორი 1.25 არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ზედა მაჩვენებლის წერტილს მასალის სიმძლავრის თვალსაზრისით. ისინი ისე უნდა იქნას განსაზღვრული, რომ გადახრა შემოიფარგლოს არაუმეტეს 0.0056 ინტერვალისა აღნიშნული დატვირთვის ქვეშ.

პორტატული კოჭები

- (4) როდესაც პორტატული კოჭი ლიუკის სახურავების სუპორტისათვის დამზადებულია რბილი ფოლადისაგან, სიმძლავრე შეიძლება გამოთვლილ იქნას სავარაუდო დატვირთვაზე არა ნაკლებ 3.5 ტ/მ² -ისა ლიუკებზე პოზიცია 1-ის შემთხვევაში და არა ნაკლებ 2.6 ტ/მ² -ისა ლიუკებზე პოზიცია 2-ის შემთხვევაში და აქედან გამომდინარე პროდუქტის მაქსიმალური გამოთვლილი სტრესი და ფაქტორი 1.47 არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ზედა მაჩვენებლის წერტილს მასალის სიმძლავრის თვალსაზრისით. ისინი ისე უნდა იქნას განსაზღვრული, რომ გადახრა შემოიფარგლოს არაუმეტეს 0.0044 ინტერვალისა აღნიშნული დატვირთვის ქვეშ.
- (5) ლიუკებზე სავარაუდო დატვირთვები პოზიცია 1-ის შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს 2 ტ/მ² -მდე გემებისათვის 24 მ სიგრძით და არ უნდა იყოს 3.5 ტ/მ² -ზე ნაკლები გემებისათვის 100 მ სიგრძით. შესაბამისი დატვირთვები ლიუკებზე პოზიცია 2-ში შეიძლება

შემცირდეს 1.5 ტ/მ^2 -მდე და 2.6 ტ/მ^2 -დე შესაბამისად. ყველა შემთხვევაში, მაჩვენებლები შუალედურ სიგრძეებზე უნდა იქნას მიღებული წრფივი ინტერპოლაციით.

პონტონის სახურავები

- (6) როდესაც პონტონის სახურავები გამოყენებულია პორტატულ კოჭებში და სახურავებში, რომლებიც რბილი ფოლადისაგან არის დამზადებული, სიმძლავრე უნდა იქნას გამოთვლილი 16-ის ქვეპუნქტების (2)-(4)-ში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად და აქედან გამომდინარე პროდუქტის მაქსიმალური გამოთვლილი სტრესი და ფაქტორი 1.47 არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ზედა მაჩვენებლის წერტილს მასალის სიმძლავრის თვალსაზრისით. ისინი ისე უნდა იქნას განსაზღვრული, რომ გადახრა შემოიფარგლოს არაუმეტეს 0.0044 ინტერვალისა აღნიშნული დატვირთვის ქვეშ. რბილი ფოლადის სახურავების ზედა ნაწილის დაფარვა არ უნდა აღემატებოდეს სისქეში 1 %-ს გამაგრების სივრცეს ან 6 მმ-ს იმ შემთხვევაში, თუ უფრო დიდია.
- (7) სახურავების სიმძლავრე და მდგრადობა, რომლებიც სხვა მასალებისგან არის დამზადებული და არა რბილი ფოლადისაგან უნდა შეესაბამებოდეს რბილი ფოლადისათვის არსებულ მოთხოვნებს ადმინისტრაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გადამზიდავები ან სოკეტები

- (8) გადამზიდავები ან სოკეტები პორტატული კოჭებისათვის უნდა იყოს შესაბამისი კონსტრუქციის და უნდა უზრუნველყოფდეს საშუალებებს კოჭების ეფექტური მონტაჟისა და დაცვისათვის. სადაც მოძრავი სახის კოჭებია გამოყენებული, მექანიზმები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ისე, რომ კოჭები დარჩეს სათანადო პოზიციაში, როდესაც ლიუკები იხურება.

მომჭერები

- (9) მომჭერები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ მოერგოს სოლების კონუსს. ისინი უნდა იყოს სულ მცირე 65 მმ სიგანის და სივრცე არა უმეტეს 600 მმ -სი ცენტრიდან ცენტრამდე; მომჭერები ყოველი მხარის გასწვრივ არ უნდა აღემატებოდეს 150 მმ-ს ლიუკის კუთხიდან.

ფიცრები და სოლები

- (10) ფიცრები და სოლები უნდა იყოს ეფექტური და კარგ მდგომარეობაში. სოლები უნდა იყოს დამზადებული გამძლე ხის მასალისაგან ან სხვა შესაბამისი მასალისაგან. მათ უნდა გააჩნდეთ კონუსი არა უმეტეს 1:6 და არ უნდა იყოს არა ნაკლებ 13 მმ სისქისა სიმაღლეზე.

ბრეზენტი

- (11) ბრეზენტის სულ მცირე ორი შრე კარგ მდგომარეობაში უნდა იქნას უზრუნველყოფილი ყოველ ლიუკში პოზიცია 1-ში ან 2-ში . ბრეზენტი უნდა იყოს წყალგაუმტარი და საკმაოდ ძლიერი ხარისხის. მასალა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე წონისა და ხარისხის დამოწმებულ სტანდარტებს.

ლიუკების სახურავების დაცვის უზრუნველყოფა

- (12) ყველა ლიუკისათვის პოზიცია 1-სა და 2-ში ფოლადის კოჭები ან სხვა შესაბამისი საშუალებები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ისე, რომ ეფექტურად და დამოუკიდებლად იქნას დაცული ლიუკის სახურავის ყოველი სექცია მას შემდეგ რაც ბრეზენტი იქნება ჩამოშვებული. ლიუკის სახურავები, რომლებიც სიგრძეში 1.5 მ-ზე მეტია უნდა იქნას დაცული სულ მცირე ორი შესაბამისი ტიპის დამცავი საშუალებებით.

რეგულაცია 16

ლიუკები დახურული წყალგაუმტარი სახურავებით, რომლებიც დამზადებულია ფოლადის სახურავებით ან სხვა შესაბამისი მასალებით

- (1) ყველა ლიუკი პოზიცია 1-სა და 2-ში უნდა იყოს ფოლადისაგან ან სხვა შესაბამისი მასალისაგან დამზადებული. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, რეგულაცია 14-ის პარაგრაფი (2)-ის შესაბამისად აღნიშნული ტიპის სახურავები უნდა იყოს წყალგაუმტარი და დამონტაჟებული შუასაბედებით და ხამუტებით. დამცავი და წყალგაუმტარი საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს. მექანიზმების საშუალებით გარანტირებულ უნდა იქნას, რომ ჰერმეტიკობა შეიძლება დაცულ იქნას ზღვის ნებისმიერ პირობებში და აღნიშნული მიზნობრიობიდან გამომდინარე ტესტები ჰერმეტიკობისათვის უნდა იქნას მოთხოვნილი კვლევის საწყის ეტაპზე და შესაძლებელია საჭირო გახდეს განახლება

და ყოველწლიური ან უფრო ხშირი ინტერვალებით კვლევების ჩატარება.

ლიუკის სახურავის მინიმალური დიზაინის დატვირთვები

(2) გემებისათვის 100 მ სიგრძეში და ზემოთ:

- (a) პოზიცია 1 ლიუკის სახურავები მოთავსებული გემის მთლიანი სიგრძის წინა ნაწილში უნდა იქნას განსაზღვრული ტალღის დატვირთვაზე წინა პერპენდიკულარზე გამოთვლილი შემდეგი განტოლებიდან:

$$\text{დატვირთვა} = 5 + (LH-100) \text{ a in ტ/მ}^2$$

სადაც :

LH არის L გემებისათვის არა უმეტეს 340 მ-ისა, მაგრამ არანაკლებ 100 მ-ისა სიგრძეში და 340 მ-ის ტოლია გემებისათვის, რომელიც 340 მ-ზე გრძელია სიგრძეში;
L არის გემის სიგრძე (მეტრი), რეგულაცია 3-ში განსაზღვრულის შესაბამისად;
a მოცემულია ცხრილ 16.1-ში,

და შემცირებული ხაზობრივად 3.5 ტ/მ^2 -მდე წინა მეოთხედის სიგრძის ბოლოზე, ცხრილ 16.2-ში ნაჩვენების შესაბამისად. დიზაინის დატვირთვა გამოყენებული თითოეული ლიუკის სახურავის პანელისათვის უნდა იქნას განსაზღვრული მისი შუალედური წერტილის ლოკაციაზე.

- (b) პოზიცია 1-ის ყველა სხვა ლიუკის სახურავი უნდა იქნას განსაზღვრული 3.5 ტ/მ^2 -მდე.
- (c) პოზიცია 2-ის ყველა სხვა ლიუკის სახურავი უნდა იქნას განსაზღვრული 2.6 ტ/მ^2 -მდე.
- (d) სადაც პოზიცია 1-ის ლიუკი მოთავსებულია სულ მცირე ერთი დაშენების სტანდარტის სიმაღლეზე უფრო მაღალი ვიდრე წყალზედა ბორტის გემბანი, ის შეიძლება იქნას განსაზღვრული 3.5 ტ/მ^2 -მდე.

	a
ტიპი B-ს წყალზედა ბორტის გემები	0.0074
გემები, რომელთა განსაზღვრული წყალზედა ბორტი შემცირებულია რეგულაცია 27-ის პარაგრაფი (9)-ს ან (10)-ის შესაბამისად	0.0363

ცხრილი 16.1

- (3) 24 მ სიგრძის გემებისათვის:
- (a) პოზიცია 1-ის ლიუკის სახურავები მოთავსებული გემის სიგრძის წინა მეოთხედში უნდა იქნას განსაზღვრული 2.43 ტ/მ^2 -ს ტალღის დატვირთვაზე გემის სიგრძის წინა მეოთხედის ბოლოში ხცრილ 16.2-ში ნაჩვენების შესაბამისად. დიზაინის დატვირთვა გამოყენებული თითოეული ლიუკის სახურავის პანელისათვის უნდა იქნას განსაზღვრული მისი შუალედური წერტილის ლოკაციაზე.
 - (b) პოზიცია 1-ის ყველა სხვა ლიუკის სახურავი უნდა განისაზღვროს 2 ტ/მ^2 -მდე.
 - (c) პოზიცია 2-ის ყველა სხვა ლიუკის სახურავი უნდა განისაზღვროს 1.5 ტ/მ^2 -მდე.
 - (d) სადაც პოზიცია 1-ის ლიუკი განთავსებულია სულ მცირე დაშენების ერთი სტანდარტის სიმაღლეზე, რომელიც წყალზედა ბორტის გემბანზე მაღალია შეიძლება განისაზღვროს 2 ტ/მ^2 -მდე.
- (4) გემებისათვის 24 მ და 100 მ სიგრძეებს შორის და პოზიციებისათვის FP და 0.25L-ს შორის ტალღის დატვირთვა მიღებულ უნდა იქნას მაჩვენებლის ხაზობრივი ინტერპოლაციით, რაც ცხრილ 16.2-შია ნაჩვენები.

	გრძივი პოზიცია		
	FP	0.25L	Aft of 0.25L
L>100 მ			
წყალზედა ბორტის გემბანი	განტოლება 16(2)(a)	3.5 ტ/მ²	3.5 ტ/მ²
გემბანის დაშენება	3.5ტ/მ²		2.6 ტ/მ²
L=100 მ			
წყალზედა ბორტის გემბანი	5 ტ/მ²	3.5ტ/მ²	3.5 ტ/მ²
გემბანის დაშენება	3.5 ტ/მ²		2.6 ტ/მ²
L=24 მ			
წყალზედა ბორტის გემბანი	2.43 ტ/მ²	2 ტ/მ²	2 ტ/მ²
გემბანის დაშენება	2 ტ/მ²		1.5 ტ/მ²

ცხრილი 16.2

- (5) ყველა ლიუკის სახურავი უნდა იქნას განსაზღვრული ისე, რომ :
- (a) პროდუქტის მაქსიმალური სტრესი განისაზღვროს ზემოთ მოცემული დატვირთვის შესაბამისად და ფაქტორი 1.25 არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ზედა მაჩვენებლის წერტილს მასალის სიმძლავრის დაჭიმულობაში და კრიტიკული დაკარგვის ძალა შეკუმშვაში;
 - (b) გადახრა ლიმიტირებულია არა უმეტეს 0.0056 ჯერ ინტერვალზე;
 - (c) სახურავების ზედა ნაწილის ფოლადით დაფარვა სისქეში არ უნდა იყოს გამაგრებების საშუალებებს შორის სივრცის 1%-ზე ნაკლები ან 6 მმ იმ შემთხვევაში, თუ უფრო დიდია; და
 - (d) შემუშავებულია კოროზიის შესაბამისი ზღვარი.

დამცავი მექანიზმები

- (6) შუასადებებისა და ხამუტებისა გარდა სხვა დამცავი და წყალგაუმტარობის უზრუნველყოფის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს.
- (7) ლიუკის სახურავები, რომლებიც დარჩენილია კომინგსებზე უნდა იქნას მოთავსებული საკუთარი პოზიციის ახლოს წყალგაუმტარი საშუალებებით ჰორიზონტალურად მოქმედ დატვირთვებზე ზღვის ნებისმიერ პირობაში.

რეგულაცია 17

მექანიზმის სივრცის ღირებები

- (1) მექანიზმის სივრცის ღირებები პოზიცია 1-ში ან 2-ში შესაბამისად უნდა იქნას შემოფარგლული და ეფექტურად დახურული შესაბამისი სიმძლავრის ფოლადის კორპუსებით და სადაც კორპუსები არ არის დაცული სხვა კონსტრუქციებით მათი სიმძლავრით განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული. ლიუკები აღნიშნული ტიპის კორპუსებში უნდა იქნას მორგებული კარებებით, რომლებიც აკმაყოფილებს რეგულაცია 12-ის პარაგრაფი (1)-ის მოთხოვნებს, რომლის ზღურბლიც უნდა შეადგენდეს სულ მცირე 600 მმ-ს გემბანის ზემოთ პოზიცია 1-ის შემთხვევაში, ხოლო სულ მცირე 380 მმ-ს გემბანის ზემოთ პოზიცია 2-ის შემთხვევაში. სხვა ღირებები აღნიშნული ტიპის კორპუსებში უნდა იქნას დამონტაჟებული შესაბამისი სახურავებით, პერმანენტულად მიმაგრებული თავიანთვის შესაფერის პოზიციებში.
- (2) როდესაც მექანიზმის კორპუსები არ არის დაცული სხვა კონსტრუქციების მეშვეობით, ორმაგი კარები (ე.წ. შიდა ან გარე კარი, რომელიც შეესაბამება რეგულაცია 12-ის პარაგრაფი (1)-ის მოთხოვნებს) უნდა იქნას მოთხოვნილი იმ გემებისათვის, რომლებიც მიჩნეულია წყალზედა ბორტად ნაკლები მაჩვენებლებით ვიდრე რეგულაცია 28-ში მოცემული 28.2 ცხრილი. 230 მმ-იანი შიდა ზღურბლი გარე 600 მმ-იან ზღურბლთან ერთად უნდა იქნას უზრუნველყოფილი.
- (3) ნებისმიერი კომინგსი საკვამურით ან სავენტილაციო მექანიზმით ღია პოზიციებში წყალზედა ბორტის გემბანზე ან გემბანის დაშენებაზე უნდა იყოს ისეთი სიმაღლის, რომ აღემატებოდეს გემბანის სიმაღლეს, რადგან გონივრულია და პრაქტიკულია. როგორც წესი, ვენტილატორები, რომლებიც საჭიროა მექანიზმის მუდმივი მომარაგებისათვის უნდა ფლობდეს საკმარისად მაღალ კომინგსებს, რათა დაცულ იქნას რეგულაცია 19-ის პარაგრაფი (3), წყალგაუმტარი დახურვის მოწყობილობების გარეშე. ვენტილატორები, რომლებიც საჭიროა გენარატორის ოთახის მუდმივად მომარაგებად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ითვლება მოტივტივე საშუალებად მდგრადობის გამოსათვლელად ან ქვემოთ მართვის გაღების დამცავ საშუალებად უნდა გააჩნდეს საკმარისად მაღალი კომინგსები რათა დაცულ იქნას რეგულაცია 19-ის პარაგრაფი (3), წყალგაუმტარი დახურვის მოწყობილობების გარეშე.
- (3) როდესაც გემის ზომის და მექანიზმის გამო აღნიშნული არ არის პრაქტიკული, უფრო ნაკლები სიმაღლე სივრცის მექანიზმისათვის და საგანგებო გენერატორის ოთახის ვენტილატორის კომინგსებისათვის, დამონტაჟებული წყალგაუმტარი დახურვის მოწყობილობებით რეგულაცია 19-ის პარაგრაფი (4)-ის შესაბამისად შეიძლება დაშვებულ იქნას ადმინისტრაციის მიერ სხვა მექანიზმებთან ერთად, რათა

გარანტირებულ იქნას ვენტილაციის უწყვეტი, ადეკვატური მომარაგება სივრცეებისათვის.

- (4) ვერტიკალური ფორმის ღიობი უნდა იქნას დამონტაჟებული ძლიერი ფოლადის ან სხვა შესაბამისი მასალის სახურავებით პერმანენტულად მიმაგრებული მათივე სათანადო პოზიციებში და უნდა ფლობდეს წყალგაუმტარობის შესაძლებლობას.

რეგულაცია 18

სხვადასხვა ღიობები წყალზედა ბორტში და გემბანების დაშენებებზე

- (1) ლუქები და ილუმინატორები პოზიციებში 1 ან 2 დაშენებების ფარგლებში ან დახურული დაშენებებისაგან განსხვავებით უნდა იქნას დახურული შესაბამისი წყალგაუმტარი საშუალებებით. გარდა დაცული ახლოს დამონტაჟებული ჭანჭიკებიანი სივრცული სახურავები პერმანენტულად უნდა იქნას მიმაგრებული.
- (2) ღიობები წყალზედა ბორტის გემბანზე, გარდა ლიუკებისა, მექანიზმის სივრცული ღიობები, ლუქები და ილუმინატორები უნდა იქნას დაცული დახურული დაშენებებით, ან შესაბამისი სიმძლავრის და წყალგაუმტარი გემბანის სალონით ან ტრაპით. ანალოგიურად ნებისმიერი აღნიშნული ტიპის ღიობი გემბანის ღია დაშენებაში, წყალზედა ბორტის გემბანის სალონის თავში ან სივრცეში დახურული დაშენების ფარგლებში დაცული უნდა იყოს ეფექტური გემბანის სალონით ან ტრაპით. შესასვლელები აღნიშნული ტიპის ტრაპებში ან გემბანის სალონებში დახურული შესაბამისად აშენებული ტრაპებით, რომელთაც დამონტაჟებული აქვთ კარები რეგულაცია 12-ის პარაგრაფი (1)-ის თანახმად, გარე კარები უნდა იყოს წყალგაუმტარი.
- (3) გემბანის სალონის თავში არსებული ღიობები ამალეზებულ კვარტერდეკზე ან დაშენებაზე, რომელიც სტანდარტულ სიმაღლეზე დაბალია უნდა იქნას უზრუნველყოფილის დახურვის შესაბამისი საშუალებებით, მაგრამ არ საწიროებს დაცვას გემბანის ეფექტური სალონით ან ტრაპით რეგულაციაში განსაზღვრული პირობების თანახმად, რომლის მიხედვითაც გემბანის სალონის სიმაღლე სულ მცირე დაშენების სიმაღლის სტანდარტის შესაბამისია. გემბანის სალონის თავში არსებული ღიობები, რომლებიც სტანდარტული დაშენების სიმაღლეზე დაბალია იგივენაირად შეიძლება იქნას გათვალისწინებული.
- (4) პოზიცია 1-ში ზღურბლის გემბანის ზემოთ სიმაღლე ტრაპზე შესასვლელებთან უნდა შეადგენდეს სულ მცირე 600 მმ-ს. პოზიცია 2-ში ის უნდა შეადგენდეს 380 მმ-ს.
- (5) როდესაც შესასვლელი უზრუნველყოფილია გემბანის ზემოდან, როგორც ალტერნატიული შესასვლელი წყალზედა ბორტის გემბანიდან რეგულაცია 3-ის პარაგრაფი (10)-ის ქვეპარაგრაფი (b)-ს შესაბამისად,

ზღურბლის სიმაღლე ხიდზე ან კიჩოზე უნდა შეადგენდეს 380 მმ-ს. იგივე პირობა შეიძლება გავრცელდეს გემბანის სალონზე, რომელიც წყალზედა ბორტის გემბანზე მდებარეობს.

- (6) როდესაც შესასვლელი არ არის უზრუნველყოფილი ზემოდან, ზღურბლის სიმაღლე წყალზედა ბორტის გემბანის სალონში შესასვლელამდე უნდა შეადგენდეს 600 მმ-ს.
- (7) როდესაც დაშენებებში და გემბანის სალონში შესასვლელი ღიობების დახურვის მოწყობილობები არ შეესაბამება რეგულაცია 12-ის პუნქტ (1)-ს, გემბანის შიდა ღიობები უნდა იქნას მიჩნეული დაუცველად (ე.წ. ღია გემბანზე განთავსებული) .

რეგულაცია 19 **ვენტილატორები**

- (1) ვენტილატორები პოზიცია 1-ში ან პოზიცია 2-ში წყალზედა ბორტის გემბანის დაბლა სივრცეებში ან გემბანის დახურულ დაშენებაში უნდა ფლობდნენ ფოლადის ან სხვა შესაბამისი მასალის კომინგსიებს, რომლებიც შესაფერისად არის აშენებული და ეფექტურად არის დაკავშირებული გემბანთან. ვენტილატორები პოზიცია 1-ში უნდა ფლობდნენ კომინგსიებს გემბანის სულ მცირე 900 მმ-თი ზემოთ, პოზიცია 2-ში კომინგსები უნდა შეადგენდეს 760 მმ-ს სიმაღლეს გემბანის ზემოთ. როდესაც ნებისმიერი ვენტილატორის კომინგსი აღემატება 900 მმ-ს სიმაღლეში მისი ხელშეწყობა განსაკუთრებული პირობებით უნდა მოხდეს.
- (2) ვენტილატორები, რომლებიც დაშენებების მეშვეობით გაივლიან სხვა დაუხურავ დაშენებებს არსებითად უნდა ფლობდნენ არსებითი კონსტრუქციის ფოლადის ან სხვა შესაბამისი მასალის კომინგსიებს წყალზედა ბორტის გემბანზე.
- (3) ვენტილატორები პოზიცია 1-ში კომინგსები, რომლებიც ვრცელდება 4.5-ზე მეტ მ-ზე გემბანის ზემოთ და პოზიცია 2-ში კომინგსები, რომლებიც ვრცელდება 2.3 -ზე მეტ მ-ზე გემბანის ზემოთ არ საჭიროებენ დახურვის მექანიზმების დამონტაჟებას გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი ადმინისტრაციის მიერ.
- (4) გარდა პარაგრაფ (3) -ში უზრუნველყოფილი პირობებისა, ვენტილატორების ღიობები უნდა იქნას უზრუნველყოფილი წყალგაუმტარი დახურვის ფოლადის ან სხვა შესაბამისი მასალის მოწყობილობებით. გემებში, რომელთა სიგრძეც არ აღემატება 100 მ-ს დახურვის მოწყობილობები პერმანენტულად უნდა ქონდეთ მიმაგრებული; როდესაც დახურვის მოწყობილობები არ აქვთ მიმაგრებული სხვა ტიპის გემებში, ისინი მოხერხებულად უნდა განლაგდეს იმ ვენტილატორებთან ახლოს, რომლებზეც უნდა მოხდეს

მათი დამონტაჟება.

- (5) დაუცველ ლოკაციებში კომინგსების სიმაღლე შეიძლება ამალდეს ადმინისტრაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

რეგულაცია 20

საჰაერო მილგაყვანილობა

- (1) სადაც საჰაერო მილგაყვანილობა ბალასტის და სხვა ავზების ვრცელდება წყალზედა ბორტის ან გემბანის დაშენების ზემოთ, მილსადენების დაუცველი ნაწილები უნდა იყოს არსებითი კონსტრუქციის; სიმაღლე გემბანიდან იმ წერტილამდე, სადაც წყალს შეიძლება წვდომა ჰქონდეს დაბლა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 760 მმ-ს წყალზედა ბორტის გემბანზე და 450 მმ-ს გემბანის დაშენებაზე.
- (2) როდესაც აღნიშნული სიმაღლეები შეიძლება ხელს უშლიდნენ გემის მუშაობას, შედარებით დაბალი სიმაღლეები შეიძლება დაშვებულ იქნას იმ პირობით, თუ ადმინისტრაცია დარწმუნდება, რომ დახურვის მექანიზმები და სხვა გარემოებები ამართლებს დაბალ სიმაღლეს.
- (3) საჰაერო მილგაყვანილობა უზრუნველყოფილ იქნება ავტომატური დახურვის მოწყობილობებით.
- (4) წნევის-ვაკუუმის სარქველები (ე.წ. PV სარქველები) შეიძლება მისაღები გახდეს ავზებისათვის.

რეგულაცია 21

სატვირთო პორტები და სხვა მსგავსი ტიპის ღიობები

- (1) სატვირთ პორტები და სხვა მსგავსი ტიპის ღიობები გემების კუთხეებზე წყალზედა ბორტის გემბანის დაბლა დამონტაჟებულ უნდა იქნას კარებებით ისე, რომ განისაზღვროს იგივე ტიპის წყალგაუმტარობის უზრუნველყოფა და კონსტრუქციის ერთიანობა გარსის მოპირკეთების თვალსაზრისით. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის ადმინისტრაციის მიერ მინიჭებული, აღნიშნული ღიობი უნდა გაიღოს გარეთ. აღნიშნული ტიპის ღიობების რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე გემის კონსტრუქციის და სათანადო მუშაობისათვის შესაფერისი.
- (2) გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის დაშვებული ადმინისტრაციის მიერ ღიობების დაბალი ნაპირი, რომელიც მითითებულია პარაგრაფ (1)-ში არ უნდა იყოს წყალზედა ბორტის გემბანის პარალელურად გავლებული ხაზზე დაბლა, რომელიც მის ყველაზე დაბალ წერტილზე სულ მცირე 230 მმ-ს შეადგენს ყველაზე მაღალი დატვირთვის ზოლის ზედა ნაპირიდან.
- (3) როდესაც დაშვებულია სატვირთო პორტების და სხვა იმავე ტიპის ღიობების მოწყობა მათი დაბალი ნაპირით პარაგრაფ (2)-ში

განსაზღვრული ზოლის დაბლა, დამატებითი მახასიათებლები მორგებულ იქნება წყალგაუმტარობის უზრუნველსაყოფად.

- (4) მეორე კარის შესაბამისი სიმძლავრის და წყალგაუმტარობის ფიტინგები არის ერთი მისაღები მექანიზმი. გაჟონვის განმსაზღვრელი მოწყობილობა უზრუნველყოფილ იქნება ორ კარს შორის არსებულ ნაკვეთურში. აღნიშნული ნაკვეთურის დრენაჟი გემის წყალქვეშა ნაწილზე მართვადი ადვილად ხელმისაწვდომი ხრახნით სარქველით დაბლა იქნება დამონტაჟებული. გარე კარი გაიღება გარეთ.
- (5) მექანიზმები გემის ცხვირის და მათი შიდა კარებებისათვის, კუთხის და კიჩოს კარებებისათვის და სხვა დამცავი საშუალებები უნდა შეესაბამებდეს აღიარებული ორგანიზაციების მოთხოვნებს, ან ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს, რომელიც უსაფრთხოების სათანადო დონეს უზრუნველყოფს.


















რეგულაცია 22

სადრენაჟე სისტემა, შენაკადის და დაცლის საშუალებები

- (1) (a) დაცლა გარსის მეშვეობით წყალზედა გემბანის სივრცეებიდან ან დაშენებებიდან და გემბანის სალონიდან წყალზედა ბორტის გემბანზე, რომლებიც აღჭურვილია კარებები რეგულაცია 12-ის შესაბამისად, გარდა პარაგრაფ (2) -ში განსაზღვრული პირობებისა აღჭურვილი უნდა იქნას ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალებებით, რომლებიც ბორტზე წყლის შევარდნის პრევენციას მოახდენენ. როგორც წესი თითოეულ ცალკეულს განმუხტვას უნდა გააჩნდეს ერთი ავტომატური შებრუნებული სარქველი მისი დახურვის დადებითი საშუალებით წყალზედა გემბანის ზემოთ. როდესაც განმუხტვის მილსადენის ბორტის ბოლო მოთავსებულია სულ მცირე 0.01L ზაფხულის პერიოდის დატვირთვის ხაზის ზემოთ, განმუხტვა შეიძლება ფლობდეს ორ ავტომატურ შებრუნებულ სარქველს დახურვის დადებითი საშუალების გარეშე. როდესაც აღნიშნული ვერტიკალური მანძილი აღემატება 0.02L, ერთი ავტომატური შებრუნებული სარქველი დახურვის დადებითი საშუალების გარეშე შეიძლება იქნას მიღებული. დადებითი მოქმედების ოპერირების საშუალება მარტივად იქნება ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფილი ინდიკატორით, რომელიც გვიჩვენებს ღია, თუ დახურულია სარქველი.
- (b) ერთი ავტომატური შებრუნებული სარქველი და ერთი შლუზის სარქველი მართული წყალზედა გემბანის ზემოდან ერთი ავტომატური შებრუნებული სარქველის მაგივრად დახურვის

დადებითი საშუალებით წყალზედა ბორტის გემბანის ზემოდან მისაღებია.

- (c) როდესაც სავალდებულოა ორი ავტომატური შებრუნებული სარქველი, ბორტის სარქველი ყოველთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი მომსახურების პირობების გამოცდისათვის (ე.წ. ბორტშიდა სარქველი უნდა იყოს ტროპიკული დატვირთვის ხაზის ზედა დონეზე). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ არის პრაქტიკული ბორტშიდა სარქველი არ საჭიროებს ტროპიკული დატვირთვის ხაზის ზემოთ მოთავსებას იმ პირობით, რომ ადგილობრივად მართვადი შლუზის სარქველი დამონტაჟებულია ორ ავტომატურ შებრუნებულ სარქველს შორის.
- (d) როდესაც სანიტარულ დაცვას და სადრენაჟე სისტემის მექანიზმებს მივყავართ გემიდან ზღვაში გარსის მეშვეობით მექანიზმის სივრცეების გზით, ადგილობრივად მართვადი სარქველი დადებითი დახურვა გარსზე შებრუნებულ ბორტშიდა სარქველთან ერთად მისაღებია. სარქველების მართვა უნდა ხდებოდეს მარტივად ხელმისაწვდომ პოზიციებზე.
- (e) ბორტშიდა განმუხტვის ბოლო პოზიცია უნდა უკავშირდებოდეს ზაფხულის პერიოდის ხე-ტყის მასალის დატვირთვის ხაზს, როდესაც ხე-ტყის წყალზედა ბორტი დადგენილია.
- (f) შეუბრუნებელი სარქველების მოთხოვნები შეესაბამება მხოლოდ იმ განმუხტვის საშუალებებს, რომლებიც რჩებიან ღია მდგომარეობაში გემის ნორმალურ პირობებში ოპერირების დროს. რაც შეეხება განმუხტვის საშუალებებს, რომლებიც რჩებიან დახურული ზღვაზე ერთ ხრახნიანი სარქველით დაბლა მართვადი გემბანიდან მისაღებია.
- (g) ცხრილი 22.1 უზრუნველყოფს სადრენაჟე, შენაკადის და განმუხტვის მისაღებ მექანიზმებს.

Discharges coming from enclosed spaces below the freeboard deck or on the freeboard deck				Discharges coming from other spaces	
General requirement Reg. 22(1) where inboard end $\leq 0.01L$ above SWL	Discharges through machinery space	Alternatives (Reg. 22(1)) where inboard end > 0.01L above SWL	> 0.02L above SWL	outboard end > 450mm below FB deck or ≤ 600 mm above SWL Reg. 22(4)	otherwise Reg. 22(5)
					
					
					
Symbols:  inboard end of pipes  outboard end of pipes  pipes terminating on the open deck				 remote control  normal thickness  substantial thickness	

ცხრილი 22.1

- (2) სადრენაჟე საშუალებები მართული გარსის მეშვეობით დახურული დაშენებებიდან ტვირთის გადასაზიდად გამოყენებული დაშვებულ უნდა იქნან მხოლოდ წყალზედა ბორტის გემბანის იმ ნაპირზე, რომელიც არ ჩაეშვება წყალში, როდესაც გემის ფსკერი 5°-ზეა. სხვა

შემთხვევებში დრენაჟი ბორტის შიგნით უნდა იქნას განთავსებული ზღვაში უსაფრთხო ცხოვრების შესახებ მოქმედი საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

- (2) პერსონალით დაკომპლექტებულ მენქანა-დანადგარებიან სივრცეებში, ძირითადი და დამატებითი ზღვის შენაკადი და დაცლა მანქანა-დანადგარების ოპერირებასთან დაკავშირებით შეიძლება ადგილობრივად იმართებოდეს. მართვა მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს და უზრუნველყოფილი უნდა იქნას ინდიკატორებით, რომლებიც გვიჩვენებენ ღია, თუ დახურულია სარქველი.
- (3) სადრენაჟე და დაცლის მილსადენები ნებისმიერ დონეზე ოპერირებენ და აღწევენ გარსში 450 მმ-ზე მეტ მანძილზე წყალზედა ბორტის გემბანის დაბლა ან 600 მმ-ზე ნაკლებ მანძილზე ზაფხულის პერიოდის დატვირთვის ხაზის ზემოთ უნდა იქნას უზრუნველყოფილი შებრუნებული სარქველით გარსზე. აღნიშნული სარქველი გარდა პარაგრა (2) განსაზღვრული პირობების გარდა შეიძლება გამოტოვებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მილსადენს გააჩნია მნიშვნელოვანის სისქე (იხილეთ ქვემოთ მოცემული პარაგრაფი (7)).
- (4) სადრენაჟე სისტემა, რომელიც დაშენებულიდან ან გემბანის სალონიდან გამოდის არ არის დამონტაჟებული კარებებით რეგულაცია 12-ის მოთხოვნების შესაბამისად გაგვიძღვება ბორტს გარეთ ზღვაში.
- (5) გარსის ყველა ფიტინგი და სარქველი, რომლებიც წინამდებარე რეგულაციით არის მოთხოვნილი იქნება ფოლადის, ბრინჯაოსი ან სხვა დრეკადი დამტკიცებული მასალისაგან დამზადებული. ჩვეულებრივი თუჯის ან მსგავსი ტიპის მასალის სარქველების გამოყენება დაუშვებელია. ყველა მილი, რომელსაც წინამდებარე რეგულაცია განსაზღვრავს უნდა იყოს ფოლადის ან სხვა მისი შესაბამისი მასალისაგან დამზადებული ადმინისტრაციის მოთხოვნების თანახმად.
- (6) სადრენაჟე და დაცლის მილსადენები
 - (a) სადრენაჟე და დაცლის მილსადენებისათვის, როდესაც სავალდებულო სისქე განსაზღვრულია:
 - (i) მილსადენებს, რომელთაც გააჩნიათ გარე დიამეტრი, რომელიც 155 მმ-ა ან მასზე ნაკლებია, სისქე არ უნდა იყოს 4.55 მმ-ზე ნაკლები;
 - (ii) მილსადენები, რომელთა გარე დიამეტრი 230 მმ-ა ან მასზე ნაკლებია, სისქე არ უნდა იყოს 6 მმ-ზე ნაკლები;

შუალედური ზომები უნდა განისაზღვროს წრფივი ინტერპოლაციით.

- (b) სადრენაჟე სისტემისა და დაცლის მილსადენებისათვის, როდესაც სავალდებულო სისქე განსაზღვრულია:
- (i) მილსადენებს, რომელთაც გააჩნიათ გარე დიამეტრი, რომელიც 80 მმ-ა ან მასზე ნაკლებია, სისქე არ უნდა იყოს 7 მმ-ზე ნაკლები;
 - (ii) მილსადენებს, რომელთაც გააჩნიათ გარე დიამეტრი, რომელიც 180 მმ-ა ან მასზე ნაკლებია, სისქე არ უნდა იყოს 10 მმ-ზე ნაკლები;
 - (iii) მილსადენებს, რომელთაც გააჩნიათ გარე დიამეტრი, რომელიც 220 მმ-ა ან მასზე ნაკლებია, სისქე არ უნდა იყოს 12.5 მმ-ზე ნაკლები;

შუალედური ზომები უნდა განისაზღვროს წრფივი ინტერპოლაციით.

რეგულაცია 22-1

ნაგავ საცლელი გაყვანილობა

- (1) ორი შესასვლელ-გასასვლელი სარქველი მართვადი სამუშაო გემბანის გაყვანილობიდან წყალზედა გემბანის ზედა პოზიციიდან დადებითი დახურვის საშუალების შებრუნებული სარქველის ნაცვლად, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს მისაღება:
- () დაბალი შესასვლელ-გასასვლელი სარქველი უნდა იმართებოდეს წყალზედა ბორტის გემბანის ზედა პოზიციიდან. ორ სარქველს შორის უნდა დამონტაჟდეს ბლოკირების სისტემა;
 - (a) ბორტშიდა დაბლოება უნდა იქნას განთავსებული წყლისხაზის ზემოთ 8.5° -ით პორტამდე ან მარჯვენა ბორტზე პროექტში შესაბამისად ზაფხულის წყალზედა ბორტის დანიშნულებით, მაგრამ არ უნდა იყოს 1,000 მმ-ზე ნაკლები ზაფხულის პერიოდის წყლის ხაზის ზემოთ. როდესაც ბორტშიდა დაბლოდება აღემატება 0.01L -ს ზაფხულის წყლის ხაზის ზემოთ, სარქველის მართვა წყალზედა ბორტის გემბანიდან არ არის საჭირო იმ პირობით, რომ ბორტშიდან შესასვლელ-გასასვლელი სარქველი ყოველთვის მისაღები იქნება მომსახურები პირობების ქვეშ; და
 - (b) ალტერნატიულად, შესასვლელ-გასასვლელი ზედა და ქვედა სარქველები შეიძლება ჩანაცვლდეს ფიქსირებული წყალგაუმტარი სახურავით ბორტშიდა გაყვანილობის

დაბოლოებაზე დაცლის სარქველთან ერთად. სახურავი და სარქველი უნდა იქნას დამონტაჟებული ბლოკირებით ისე, რომ დაცლის სარქველის ოპერირება შეუძლებელი იყოს სანამ ბუნკერის სახურავი არ დაიხურება.

- (2) მთლიანი გაყვანილობა, მათ შორის სახურავი უნდა შეიქმნას შესაბამისი სისქის მასალით.
- (3) შესასვლელ-გასასვლელი სარქველების სამართვად და/ან ფიქსირებულ სახურავებზე მკაფიოდ უნდა იქნას აღნიშნული შემდეგი პირობა: „დაახურეთ, როდესაც არ იყენებთ“.
- (4) როდესაც გაყვანილობის ბორტშიდა დაბოლოება არის სამგზავრო გემის წყალზედა გემბანის დაბლა ან სატვირთო გემის წყლის ხაზის შესაბამისია, რომელზეც დაზიანების საწინააღმდეგო მოთხოვნები ვრცელდება, მაშინ:
 - (a) ბორტშიდა დაბოლოება ფიქსირებული სახურავის/სარქველის უნდა იყოს წყალგაუმტარი;
 - (b) სარქველი უნდა იყოს დაბლა ხრახნიანი შებრუნებული სარქველი დამონტაჟებული მარტივად ხელმისაწვდომი პოზიცია ყველაზე ღრმა დატვირთვის ხაზის ზემოთ; და
 - (c) დაბლა ხრახნიანი შებრუნებული სარქველი უნდა იმართებოდეს პოზიციიდან გემბანის ტიხარის ზემოთ და უზრუნველყოფილი ღია/დახურული ინდიკატორებით. სარქველის სამართვად უნდა მკაფიოდ უნდა იქნას აღნიშნული შემდეგი პირობა: „დაახურეთ, როდესაც არ იყენებთ“.

რეგულაცია 22-2

ჯაჭვებიანი მილგაყვანილობა და სადენების ჩამკეტები

- (1) ჯაჭვიანი მილგაყვანილობა და სადენების ჩამკეტები უნდა იყოს წყალგაუმტარი გემბანამდე, რომელიც დაუცველია ამინდის პირობების დროს.
- (2) როდესაც შესვლის საშუალებები უზრუნველყოფილია ისინი უნდა აიყოს დახურული შესაბამისი სახურავებით და დაცული ახლო მანძილზე მოჭერილი ჭანჭიკებით.
- (3) ჯაჭვიანი მილსადენები რომელთა მეშვეობითაც ღუზის სადენი იმართება უზრუნველყოფილ უნდა იქნას მუდმივად მიმაგრებული დამკეტი მოწყობილობებით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი წყლის მოხვედრა.

რეგულაცია 23

გვერდითი ილუმინატორები, ფანჯრები და მინის სახურავები

- (1) გვერდითი ილუმინატორები და ფანჯრები, მათ შუშებთან ერთად, ყრუ და შტორმის სახურავებით იმ შემთხვევაში, თუ დამონტაჟებულია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ დიზაინს და შესაბამის კონსტრუქციას. არალითონური მასალის კარკასების კონსტრუქციები დაუშვებელია.
- (2) გვერდითი ილუმინატორები უნდა იყოს მრგვალი ან ოვალური ფორმის ფართობით არაუმეტეს 0.16 მ^2 . მრგვალ ან ოვალურ ღიობებს გააჩნია ფართობი არაუმეტეს 0.16 მ^2 , რომელიც ითვლება ფანჯრებად.
- (3) ფანჯრები განსაზღვრულია, როგორც სამკუთხედი ღიობები ძირითადად თითოეულ კუთხეზე შესაბამისი რადიუსით ფანჯრის ზომაზე და მრგვალ ან ოვალურ ღიობზე ფართობით არაუმეტეს 0.16 მ^2 .
- (4) გვერდითი ილუმინატორები შემდეგ სივრცეებზე უნდა იქნას დამონტაჟებული ფიქსირებული შიდა ყრუ საშუალებებით:
 - (a) სივრცეები წყალზედა ბორტის გემბანის დაბლა;
 - (b) სივრცეები დახურული დაშენებების პირველი იარუსის ფარგლებში; და
 - (c) გემბანის სალონის პირველი იარუსი წყალზედა გემბანის დამცავ ღიობზე დაბლა ან მიჩნეული, როგორც მცურავი გათვლილი გამძლეობით. .ყრუ კარები ალჭურვილი უნდა იყოს დახურული და დაცული წყალგაუმტარი საშუალებებით წყალზედა ბორტის გემბანის დაბლა და წყალგაუმტარია იმ შემთხვევაში, თუ დამონტაჟებულია ზემოთ.
- (5) გვერდითი ილუმინატორები არ უნდა იქნას დამონტაჟებული ისეთ პოზიციაში, რომ მათი ზღურბლი იყოს პარალელური ხაზის დაბლა წყალზედა ბორტის გემბანზე კუთხეში და მისი ყველაზე დაბალი წერტილით 2.5% სიგანის (B), ან 500 მმ, რომელიც არის ყველაზე დიდი მანძილი ზაფხულის პერიოდის დატვირთვის ხაზის ზემოთ (ან ხე-ტყის მასალის ზაფხულის პერიოდის დატვირთვის ხაზი იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულია).
- (6) იმ შემთხვევაში, თუ საჭირო დაზიანების საწინააღმდეგო მდგრადობის გამოთვლები მიგვანიშნებენ, რომ კუთხის ილუმინატორები შეიძლება ჩაიდიროს წყალში წყალდიდობის შუალედურ საფეხურზე ან საბოლოო შესაბამისობის წყლის ხაზზე ისინი უნდა იყოს მუდმივად დახურული ტიპის ანუ მათი გაღება არ უნდა იყოს შესაძლებელი.
- (7) ფანჯრების დამონტაჟება შემდეგ ლოკაციებზე დაუშვებელია:
 - (a) წყალზედა ბორტის გემბანის დაბლა;

- (b) ტიხრების დაბოლოების პირველ იარუსში ან დახურული დაშენებების კუთხეებში; ან
 - (c) გემბანის სალონის პირველ იარუსში, რომელიც ითვლება მდგრადობის გამოთვლების შესაბამის მოცურავედ.
- (8) კუთხის ილუმინატორები და ფანჯრები კუთხეზე მეორე იარუსში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ფიქსირებული შიდა ყრუ კარებებით, რომლებიც იხურება და დაცულნი არიან, არიან წყალგაუმტარი იმ შემთხვევაში, თუ დაშენება იცავს პირდაპირი წვდომისაგან ღიობს, რომელსაც მივყავართ დაბლა ან მიიჩნევა მდგრადობის გამოთვლების შესაბამის მოცურავედ.
-

* წინა ყრუ ფარები დამონტაჟებულია ფანჯრების და კუთხის ილუმინატორების შიგნით, მასწავროდესაც შტორმისაგან დამცავი სახურავები დამონტაჟებულია ფანჯრების გარეთ, სადაც ხელმისაწვდომია და შეიძლება იყოს ფიქსირებული ან პორტატული.

- (9) კუთხის ილუმინატორები და ფანჯრები ტიხრებით კუთხეებზე მოწყობილია ბორტის შიგნით გარსის კუთხიდან მეორე იარუსში, რომელიც იცავს დაბლა პირდაპირი წვდომისაგან პარაგრა (4)-ში ჩამოთვლილ სივრცეებს, რომლებიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას შიგნით დამონტაჟებული ყრუ ფარებით ან, სადაც ისინი ხელმისაწვდომია პერმანენტულად დამაგრებულია შტორმისაგან დამცავი გარე საფარები, რომლებიც შეიძლება იქნას დახურული და დაცული, ასევე ისინი წყალგაუმტარია.
- (10) კაიუტის ტიხრები და კარები მეორე იარუსში და კუთხის განმაცალკეველები ილუმინატორები და ფანჯრები პირდაპირი შესასვლელიდან, რომელსაც დაბლა ან მეორე იარუსში მიყვავართ და ითვლება მდრადობის გამოთვლის შესაბამის მოცურავედ შეიძლება მიღებულ იქნას ყრუ ფარების ადგილას ან შტორმისაგან დამცავ ფარებზე , რომლებიც დამონტაჟებულია ილუმინატორების ან ფანჯრების კუთხეებზე.
- (11) გემბანის სალონები, რომლებიც განთავსებული ამაღლებულ კვარტერ დეკზე ან დაშენების გემბანზე სტანდარტული სიმაღლის დაბალ სიმაღლეზე შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეორე იარუსი, ვინაიდან ყრუ ფარების მოთხოვნები განსაზღვრულია იმ პირობით, რომ ამაღლებული კვარტერ დეკის ან დაშენების სიმაღლე სტანდარტული კვარტერ დეკის სიმაღლის თანაბარი ან უფრო დიდია.
- (12) ფიქსირებული ან ღია შუშიანი ფანჯრები უნდა შეესაბამებოდნენ შუშის სისქით შესაბამის ზომას და პოზიციას, როგორც ეს კუთხის ილუმინატორებისათვის და ფანჯრებისათვის არის მოთხოვნილი. შუშიანი ფანჯრების შუშები ნებისმიერ პოზიციაში დაცული უნდა იქნას მექანიკური დაზიანებისაგან და როდესაც დამონტაჟებულია პოზიცია 1-ში ან პოზიცია 2-ში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყრუ ფარების და შტორმისაგან დამცავი ფარების პერმანენტული დამაგრებით.

რეგულაცია 24

შტორმის პორტები

- (1) (a) როდესაც საყრდენები წყალზეა ბორტზე ან გემბანის დაშენებაზეა წყალსატევიდან ამინდის პირობების შესაბამისა, სათანადო დებულება უნდა იქნას შემუშავებული მარტივად შტორმის გემბანებისათვის წყლის და მათი დრენირებისათვის.
- (b) გარდა პარაგრაფი (1)-ის, (c) პარაგრაფისა და პარაგრაფ (2)-ში განსაზღვრული პირობებისა შტორმის პორტის მინიმალური ფართობი (A) გემის ყოველ კუთხეზე თითოეული

წყალსატევისათვის წყალზედა ბორტის გემბანზე შემდეგი ფორმულით უნდა იქნას მიღებული იმ შემთხვევებში, სადაც წყალსატევის სიზუსტე გზაში არის სტანდარტული ან სტანდარტულზე უფრო მაღალი.

მინიმალური ფართობი თითოეული წყალსატევისა გემბანის დაშენებაზე უნდა შეადგენდეს ფართობის ერთ ნახევარს შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

როდესაც საყრდენის სიგრძე (l) წყალსატევში არის 20 მ ან ნაკლები:
$$A = 0.7 + 0.035 l \text{ (m}^2\text{)};$$

როდესაც l აღემატება 20 მ-ს:

$$A = 0.07 l \text{ (m}^2\text{)}.$$

l არც ერთ შემთხვევაში არ საჭიროებს 0.7L.-ზე მეტს.

იმ შემთხვევაში, თუ საყრდენი არის 1.2 მ-ზე მეტი საშუალო სიმაღლეში, საჭირო ფართობი უნდა გაიზარდოს 0.004 მ^2 -ით წყალსატევის ყოველ მეტრზე ყოველი 0.1 მ განსხვავებისა სიმაღლეში. იმ შემთხვევაში, თუ საყრდენი 0.9 -ზე ნაკლებია საშუალო სიმაღლეში საჭირო ფართობი შეიძლება შემცირდეს 0.004 მ^2 -ით წყალსატევის სიგრძის ყოველ მეტრზე ყოველი 0.1 მ განსხვავებისა სიმაღლეში.

გემებში, რომელთაც არ გააჩნიათ კურსი და ფართობი გამოთვლილი აქვთ პარაგრაფი (b) -ს შესაბამისად უნდა შემცირდეს 50%. -ით.
(c) როდესაც კურსის სტანდარტზე ნაკლებია პროცენტული მაჩვენებელი მიღებულ უნდა იქნას წრფივი ინტერპოლაციით.

(d) წყლის მიმოქცევის გემის გემბანზე გემბანის სალონით გემის შუაგულში გემის კოჭის სულ მცირე 80%-იანი სიგანით და კაროდორები გემის კუთხეების გასწვრივ არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს სიგანეში, შექმნილია ორი წყალსატევი. ყოველ მათგანში გათვალისწინებულ უნდა იქნას შტორმის პორტის საჭირო ფართობი თითოეული წყალსატევის სიგრძის შესაბამისად.

(e) როდესაც ტიხარი დამონტაჟებულია გემის სრულ გადაკვეთაზე გემბანის სალონის დაბოლოების წინ, დაუცველი გემბანი გაყოფილია ორ წყალსატევად და ამ შემთხვევაში გემბანის სალონის სიგანეზე არ ვრცელდება რაიმე ტიპის შეზღუდვა.

(f) წყალსატევები ამაღლებულ კვარტერ დეკებზე უნდა იქნას განსაღვრული, როგორ წყალზედა ბორტის გემბანი.

(g) ღარისებრი კოჭები სიმაღლეში 300 მ-ზე მაღალი დამონტაჟებული ტანკერების ამინდის გემბანის გარშემო ტვირთის მოგროვების

ჭრილში და ტვირთის გადმოტვირთვა-ჩატვირთვის არეში უნდა განისაზღვროს საყრდენებად. შტორმის პორტები უნდა იქნას მოწყობილი წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად. ძგიდეები, რომლებიც მიმაგრებულია აღნიშნულ პორტზე დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს გამოსაყენებლად უნდა იქნას ისე მოწყობილი, რომ არ მოხდეს რაიმე ტიპის შეფერხება მათი ზღვაში ყოფნის დროს.

- როდესაც გემი საბარგულით არის აღჭურვილი არ შეესაბამება რეგულაცია 36-ის პარაგრაფი (1)-ის ქვეპუნქტ (e)-ს, ან როდესაც უწყვეტად ან არსებითად ლიუკების კუთხის კომინგსები უწყვეტად არის დამონტაჟებული ცალკე გამოყოფილ დაშენებებს შორის, შტორმის პორტის ღიობების მინიმალური ფართობი უნდა იქნას გამომთვლი (2) შემდეგი ცხრილის გამოყენებით:

ლიუკების ან საბარგულის სიგანე გემის სიგანესთან მიმართებაში	შტორმის პორტების ფართობი საყრდენების სრულ ფართობთან მიმართებაში
40% ან ნაკლები	20%
75% ან მეტი	10%

შტორმის პორტების ფართობი შუალედურ სიგანეებზე მიღებულ უნდა იქნას წფრივი ინტერპოლაციით.

- შტორმის ფართობის ეფექტურობა საყრდენებში მოთხოვნილი პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად დამოკიდებულია თავისუფალი დინების ფართობზე გემის გემბანის გადაკვეთაზე. (3)

გემბანზე თავისუფალი დინების ფართობი არის სუფთა ფართობი ლიუკებს შორის ნაპრალების ლიუკებს, ლიუკებს, დაშენებებს და გემბანის სალონებს შორის საყრდენის ფაქტიურ სიმაღლდე. შტორმის პორტის ფართობის საყრდენებში შეფასდება თავისუფალი დინების სუფთა ფართობთან დაკავშირებით შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ნაკადის ფართობი არ არის პარაგრაფი (2)-ის შესაბამისად გამოთვლილი, ვინაიდან ლიუკის კომინგსები იყო უწყვეტი, შემდეგ შტორმის პორტის მინიმუმი გამოთვლი პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად უნდა ჩაითვალოს (a) საკმარისად.

- (a) იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ნაკადის ფართობი ტოლია ან ნაკლებია პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად გამოთვლილი ფართობის, შტორმის მინიმალური ფართობი საყრდენებში უნდა განისაზღვროს პარაგრაფი (2)-ის გამოყენებით.
- (b) იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ნაკადის ფართობი უფრო პატარაა ვიდრე პარაგრაფი (2)-ის შესაბამისად გამოთვლილი, ხოლო პარაგრაფი (1) -ის შესაბამისად გამოთვლილ მაჩვენებელზე დიდია, შტორმის მინიმალური ფართობი საყრდენებში უნდა განისაზღვროს შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

$$F = F_1 + F_2 - f_p \text{ (m}^2\text{)}$$

როდესაც:

F_1	არის შტორმის მინიმალური ფართობი გამოთვლილი პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად;
F_2	არის შტორმის მინიმალური ფართობი გამოთვლილი პარაგრაფი (2)-ის შესაბამისად; და
f_p	არის საერთო სუფთა ფართობი გასასვლელების და ნაპრალების ლიუკების დაბოლოებებს შორის და
	დაშენებები ან გემბანის სალონები საყრდენის ფაქტიურ სიმაღლემდე.

- (4) გემებში, რომელთაც გააჩნიათ დაშენებები წყალზედა ბორტის გემბანზე ან გემბანის დაშენებაზე, რომელიც არის ღია ყველა ან ორივე დაბოლოებაზე წყალსატევზე, რომელიც შექმნილია საყრდენებით ღია გემბანებზე, შტორმისათვის შესაბამისი დებულება ღია სივრცეების დაშენებების ფარგლებში უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

შტორმის პორტის მინიმალური ფართობი გემის ყოველ მხარეზე ღია დაშენებისათვის (A_s) და ღია წყალსატევისათვის (A_w) გამოთვლილ იქნება შემდეგი პროცედურების შესაბამისად:

- (a) განისაზღვროს წყალსატევის საერთო სიგრძე (l_t), რომელიც ღია გემბანის სიგრძის ჯამის ტოლია დახურული საყრდენებით (l_w) და ზოგადი სივრცის სიგრძე ღია დაშენების ფარგლებში (l_s).
- (b) განსაზღვრა A_s :
- გამოიღოს შტორმის ფართობი (A), რაც საჭიროა ღია წყალსატევის სიგრძისათვის l_t პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად საყრდენის სავარაუდო სტანდარტით;
 - გამრავლდეს 1.5 ფაქტორით, კურსის არ არსებობის შესასწორებლად, თუ შეესაბამება, პარაგრაფი (1)-ის პარაგრაფი (c)-ს თანახმად;

- (iii) გამრავლდეს ფაქტორით (b_o/l_t) შტორმის პორტის ფართობის დასადგენად ღიობების სიგანისათვის (b_o) დახურული დაშენების ტიხარის ბოლოში;
- (iv) დადგინდეს შტორმის პორტის ფართობი წყალსატევის მთლიანი სიგრძის ნაწილისათვის, რომელიც დახურულია ღია დაშენების მეშვეობით, გამრავლდეს შემდეგი ფაქტორის გამოყენებით:

$$1 - (l_w/l_t)^2$$

როდესაც l_w და l_t განსაზღვრულია პარაგრაფი (4)-ის პუნქტ (a)-ში;

- (iv) დადგინდეს შტორმის პორტის ფართობი წყალსატევის გემბანის მანძილისათვის წყალზედა ბორტის გემბანის ზემოთ, გემბანებისათვის, რომლებიც განთავსებულია $0.5 h_s$ -ზე მეტ სიმაღლეზე წყალზედა ბორტის ბაქანის ზემოთ გამრავლდეს შემდეგი ფაქტორით:

$$0.5 (h_s/h_w)$$

როდესაც h_w არის წყალსატევის გემბანის მანძილი წყალზედა ბორტის ზემოთ და h_s არის დაშენების სიმაღლის ერთი სტანდარტი.

- (c) A_w -ის განსაზღვრა:

- (i) შტორმის პორტის ფართობი ღია წყალსატევისათვის (A_w) გამოთვლილ იქნება პარაგრაფი (b)-ს პარაგრაფი (i)-ს შესაბამისად, l_w -ს გამოყენება, რათა გამოთვლილ იქნას შტორმის პორტის ფართობი გამოთვლილ იქნას (A'), და შემდეგ დადგინდეს საყრდენის ფაქტიური სიმაღლისათვის (h_b) ფართობის შემდეგი კორექციებიდან ერთერთის გამოყენებით, რომელიც იქნება შესაფერისი:

საყრდენებისათვის, რომლებიც სიმაღლეში 1.2 მ-ს აღემატება:

$$A_c = l_w((h_b - 1.2)/0.10)(0.004) (m^2);$$

საყრდენებისათვის, რომლებიც სიმაღლეში 0.9 მ-ზე ნაკლებია:

$$A_c = l_w((h_b - 0.9)/0.10)(0.004) (m^2);$$

საყრდენებისათვის 1.2 მ-სა და 0.9 მ -ს შორის სიმაღლეში არ არსებობს კორექცია (i.e. $A_c = 0$);

- (ii) კორექტირებული შტორმის პორტის ფართობი ($A_w = A' + A_c$) უნდა დადგინდეს კურსის არ არსებობისათვის, საჭიროების შემთხვევაში და სიმაღლე წყალზედა ბორტის გემბანის ზემოთ პარაგრაფი (b)-ს პარაგრაფი (ii)-ს და პარაგრაფი (b)-ს პარაგრაფი (v)-ს შესაბამისად, h_s -ს და h_w -ს გამოყენება.

- (d) შედეგად მიღებული შტორმის პორტის ფართობები ღია დაშენებებისათვის (A_s) და ღია წყალსატევისათვის (A_w) უზრუნველყოფილ უნდა იქნას ღია სივრცის ყოველი კუთხის გასწვრივ, რომელიც დაფარულია ღია დაშენებით და შესაბამისად ღია წყალსატევის ყოველი კუთხე.

- (e) ზემოთ ხსენებული კავშირები შეჯამებულია შემდეგი განტოლებებით, სავარაუდოდ l_t , l_w -ის და l_s , -ს ჯამი აღემატება 20 მ-ს.

შტორმის პორტის ფართობი A_w ღია წყალსატევისათვის:

$$A_w = (0.07l_w + A_c) \text{ (კურსის კორექცია)}$$

$(0.5h_s/h_w)$; შტორმის პორტის ფართობი A_s ღია დაშენებისათვის:

$$A_s = (0.07l_t) \text{ (კურსის კორექცია)} (b_o/l_t) (1 - (l_w/l_t)^2) (0.5h_s/h_w);$$

როდესაც l_t არის 20 მ ან ნაკლები, შტორმის პორტის ძირითადი ფართობი არის $A = 0.7 + 0.035l_t$ პარაგრაფი (1)-ის შესაბამისად.

- (5) შტორმის პორტის დაბალი ნაპირი იქნება იმდენად ახლოს, რამდენადაც შესაძლებელია. შტორმის პორტის ფართობის მოთხოვნილი ორი მესამედი უზრუნველყოფილ იქნება წყალსატევის ნახევარში კურსის სიმრუდის ყველაზე დაბალ წერტილთან ახლოს. შტორმის პორტის სავალდებულო ფართობის ერთი მესამედი სწორად უნდა განაწილდეს წყალსატევის დარჩენილ სიგრძეზე. ნულოვანი ან მცირე კურსით დაუცველ წყალზედა ბორტის გემბანზე ან დაუცველი გემბანის დაშენების შტორმის პორტის ფართობი სწორად უნდა იქნას განაწილებული წყალსატევის სიგრძის გასწვრივ.
- (6) შტორმის პორტის ყველა ღიობი საყრდენებში უნდა იქნას დაცული რკინებით ან კოჭებით დაშორებული დაახლოებით 230 მმ-ით. იმ შემთხვევაში, თუ საკეტები დამონტაჟებული შტორმის პორტებში, სათანადო კლირენსი უნდა იქნას უზრუნველყოფილი შეფერხების პრევენციისათვის. ანჯამებს უნდა გააჩნდეთ სარკები ან საკისრები, რომლებიც უჟანგავი მასალისაა. საკეტები არ უნდა იქნას აღჭურვილი დამცავი საშუალებებით.

რეგულაცია 25

ეკიპაჟის დაცვა

- (1) გემბანის სალონი გამოყენებული ეკიპაჟის დასაბინავებლად უნდა აშენდეს სიმძლავრის შესაბამის დონეზე.
- (2) დაცვის რელსები ან საყრდენები უნდა იქნას აღჭურვილი დაუცველი ყველა გემბანის გარშემო. საყრდენების ან დაცვის რელსების სიმაღლე უნდა შეადგენდეს სულ მცირე 1 მ-ს გემბანიდან იმ პირობით, რომ როდესაც აღნიშნული სიმაღლე ხელს შეუშლიდა გემის ნორმალურ ოპერირებას, უფრო მცირე სიმაღლე უნდა იქნას დამოწმებული იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია კმაყოფილია მასხედ, რომ შესაბამისი დაცვა არის უზრუნველყოფილი.
- (3) დაცვის რელსები დამონტაჟებული დაშენებაზე და წყალზედა ბორტის გემბანზე უნდა ფლობდნენ სულ მცირე სამ კურსს. ღიობის დაცვის რელსის ყველაზე დაბალი კურსი არ უნდა აღემატებოდეს 230 მმ-ს. სხვა კურსები არ უნდა აღემატებოდეს 380 მმ-ს ერთმანეთისაგან. გემების შემთხვევაში, რომელთაც მომრგვალებული გემბანის შეერთების ადგილების დაცვის რელსები აქვთ, სუპორტები უნდა განთავსდეს გემბანის სიბრტყეზე. სხვა ლოკაციებში, დამცავი რელსები სულ მცირე

ორ კურსზე უნდა აიქნას დამონტაჟებული. დაცვის რელსები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ დებულებებს:

- (a) დამონტაჟებული, მოსახსნელი ან ფიქსირებული საყრდენი ბოძები უნდა იქნას დამონტაჟებული დაახლოებით 1.5 მ-ზე ერთმანეთისაგან. უნდა იყოს მოსახსნელი ან ფიქსირებული და შესაძლებელი უნდა იყოს საყრდენ ბოძების ვერტიკალურ პოზიციაში დაფიქსირება;
 - (b) სულ მცირე ყოველი მესამე საყრდენი ბოძი უნდა იქნას მხარდაჭერილი კრონშტეინით ან სადგარით;
 - (c) როდესაც საჭიროა გემის ნორმალური ოპერირებისათვის, ფოლადის სადენის ბაგირები შეიძლება იქნას მისაღები დაცვის რელსების ნაცვლად. სადენები უნდა იყოს მოჭიმული ორ სხვადასხვა პირიანი დამჭერი რკინის მეშვეობით; და
 - (d) როდესაც საჭიროა გემის ნორმალური ოპერირებისათვის, ჯაჭვები უნდა იქნას დამონტაჟებული ორ საყრდენ ბოძსა და/ან საყრდენს შორის, რაც მისაღებია დამცავი რელსების ნაცვლად.
- (4) უსაფრთხო გავლის დამაკმაყოფილებელი საშუალებები მოთხოვნილია რეგულაცია 25-1-ის შესაბამისად (დამცავი რელსების ფორმა, სამაშველო ტროსი, გასასვლელები ან გემბანის ქვეშა გასასვლელები და სხვა) უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეკიპაჟის დასაცავად შიგნით შესასვლელად ან მათი კვარტერებიდან გამოსასვლელად, მანქანა-დანადგარების სივრცე და ნებისმიერი სხვა სივრცე გამოყენებული გემის კონკრეტულ ოპერაციაში.
- (5) გემბანის ტვირთი გადაზიდული ნებისმიერ გემზე ისე უნდა იყოს შენახული, რომ ღიობი, რომელიც ტვირთის გზაზეა და იძლევა წვდომის საშუალებას ეკიპაჟის კვარტერზე მოხვედრის და იქიდან გამოსვლის, მანქანა-დანადგარების სივრცე და ყველა სხვა ნაწილი გამოყენებული გემის კონკრეტული ოპერაციისათვის დახურული და დაცული უნდა იქნას წყლის მოხვედრის წინააღმდეგ. ეკიპაჟის დაცვა დამცავი რელსების მეშვეობით ან სამაშველო ტროსით უზრუნველყოფილ უნდა იქნას ტვირთის გემბანის ზემოთ იმ შემთხვევაში, თუ არ არის მოსახერხებელი გასასვლელი გემის გემბანზე ან მის დაბლა.

გემის ტიპი	გემის ხელმისაწვდომი ლოკაციები	ზაფხულის პერიოდის წყაზედა ზორტი	მისაღები მექანიზმები წყალზედა ზორტის განსაზღვრული ტიპის შესაბამისად			
			ტიპი 'A'	ტიპი 'B-100'	ტიპი 'B-60'	ტიპი 'B' და 'B+'
ყველა გემი ზეთის ტანკერების *, ქიმიური ნივთიერებების ტანკერების * და აირის გადამტანების გარეშე *	1.1 შუაგული გემის კვარტერების წვდომა 1.1.1 კიჩოსა და ხიდს შორის ან 1.1.2 კიჩოსა და გემბანის სალონს შორის, რომლებიც შეიცავენ საცხოვრებელ ფართს ან ნავიგაციის აღჭურვილობას, ან ორივეს ერთად	≤ 3,000 მმ > 3,000 მმ	(a) (b) (e) (a) (b) (e)	(a) (b) (e) (a) (b) (e) (f)(i) (f)(ii)	(a) (b) (c)(i) (e) (f)(i) (a) (b) (c)(i) (c)(ii) (e) (f)(i) (f)(ii) (f)(iv)	(a) (b) (c)(i) (c)(ii) (c)(iv) (d)(i) (d)(ii) (d)(iii) (e) (f)(i) (f)(ii) (f)(iv)
	1.2 წვდომა ბოლოებზე კიჩოსა და გემის ცხვირს შორის (იმ შემთხვევაში თუ არ არის გემი) 1.2.1 ხიდსა და გემის ცხვირს შორის, ან 1.2.2 გემბანის სალონს შორის , რომელიც შეიცავს საცხოვრებელ ფართს ან ნავიგაციის აღჭურვილობას, ან ორივეს ერთად, და გემის ცხვირს, ან 1.2.3 გემის გემბანის წყლით ჩამორეცხვის შემთხვევაში, ეკიპაჟის დაბინავების და გემის დაბოლოებების შემდეგ და წინ 1.2.4	≤ 3,000 მმ >3,000 მმ	(a) (b) (c)(i) (e) (f)(i) (a) (b) (c)(i) (f)(i) (f)(ii) (a) (b) (c)(i) (d)(i) (d)(ii) (e) (f)(i) (f)(ii)	(a) (b) (c)(i) (c)(ii) (f)(i) (f)(ii) (a) (b) (c)(i) (c)(ii) (c)(iv) (d)(i) (d)(ii) (d)(iii) (e) (f)(i) (f)(ii) (f)(iv)		

ზეთის ტანკერები *, ქიმიური ნივთიერებები ს ტანკერები * და აირის გადამზიდავებ ი *	გემის ცხვირის 2.1 ხელმისაწვდომობა 2.1.1 კიჩოსა და გემის ცხვირს შორის ან 2.1.2 გემზანის სალონის დაბინავების ან ნავიგაციის აღჭურვილობას შორის, ან ორივე და გემის ცხვირი, ან	$\leq (A_f + H_s)^{**}$	(a) (e) (f)(i) (f)(v)
	2.1.3 გემის გემზანის ჩამორეცხვის შემთხვევაში ეკიპაჟის დაბინავების ადგილსა და გემის დაბოლოებებს შორის .	$> (A_f + H_s)^{**}$	(a) (e) (f)(i) (f)(ii)
	2.2 დაბოლოების შემდეგ წვდომა წყლით ჩამორეცხვის გეის გემზანის შემთხვევაში, ეკიპაჟის დაბინავების ადგილსა და გემის დაბოლოების შემდეგ ადგილს შორის.	გემების სხვა ტიპებისათვის პუნქტ 1.2.4- ში მოთხოვნილი პირობების შესაბამისად	

ცხრილი 25-1.1

* ზეთის ტანკერები, ქიმიური ნივთიერებების და აირის გადამტანი ზღვაში უსაფრთხო ცხოვრებაზე საერთაშორისო საერთაშორისო რეგულაციები II-1/2.12, VII/8.2 და VII/11.2, შესაბამისად.

** A_f: წყალზედა ბორტის მინიმუმი გამოთვლილი, როგორც ტიპი 'A'-ს გემი წყალზედა ბორტის ფაქტიურად განსაზღვრული ტიპი. H_s: დაშენების სტანდარტული სიმაღლე განსაზღვრული რეგულაცია 3.3-ში. .

*** მექანიზმები (a)-(f) აღწერილია ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში (2) . ლოკაციები (i)-(v) აღწერილია ქვემოთ მოცემულ პარაგრაფ (3)-ში.

- (1) მისაღები მექანიზმები ხსენებული ცხრილ 25-1.1-ში განსაზღვრულია შემდეგნაირად:
- (a) კარგად განათებული და კარგი ვენტილაციის მქონე გემბანის ქვედა კარიდორები (ზუსტი ღიობით სულ მცირე 0.8 მ სიგანე და 2 მ სიმაღლე), იმდენად ახლოს, რამდენადაც საჭიროა წყალზედა ბორტის გემბანზე, დაინტერესების ქვეს მყოფ ლოკაციებთან დაკავშირება და წვდომის უზრუნველყოფა.
 - (b) პერმანენტულად და ეფექტურად აშენებული გასასვლელი, დამონტაჟებული გემბანის დაშენების დონეზე ან მაღლა, გემის ცენტრის ხაზზე ან მაქსიმალურად ახლოს, იმ პირობით, რომ უწყვეტი ბაქანი იქნება სულ მცირე 0.6 მ სიგანეში და გლუვი ზედაპირი და დამცავი რელსებით, რომლებიც ვრცელდება მისი სიგრძის ყოველ კუთხეში. დამცავი რელსები უნდა შეადგენდეს 1 მ-ს სიმაღლეში სამი კურსით და აშენებული რეგულაცია 23 (3)-ში განსაზღვრული პირობების თანახმად. ფეხით გაჩერების საშუალება უნდა იქნას უზრუნველყოფილი.
 - (c) მუდმივი საცალფეხო გზა სულ მცირე 0.6 მ სიგანით დამონტაჟებული უნდა იყოს წყალზედა ბორტის გემბანის დონეზე და უნდა შედგებოდეს დამცავი რელსების საყრდენებით ორი რიგისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან არა უმეტეს 3 მეტრისა. რელსების კურსის რაოდენობა და მათი დაშორება უნდა შეესაბამებოდეს რეგულაცია 25(3)-ს. 'B' ტიპის გემებში, ლიუკების კომინგსები არა ნაკლებ 0.6 მ სიმაღლეში შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც საცალფეხო ბოლიკის ერთი კუთხე იმ პირობით, რომ დამცავი რელსის ორი რიგი დამონტაჟებულია ლიუკებს შორის.
 - (d) სადენიანი ბაგირის სამაშველო ტროსი არა ნაკლებ 10 მმ-სი დიამეტრში მხარდაჭერილია საყრდენებით არა უმეტეს 10 მ-ს დაშორებით ერთმანეთისაგან, ან ერთი რელსი ან სადენიანი ბაგირი დამაგრებული ლიუკის კომინგსზე, გაგრძელებული და მხარდაჭერილი ლიუკებს შორის.
 - (e) პერმანენტული გასასვლელი, რომელიც არის:
 - (i) განთავსებული გემბანის დაშენების დონეზე ან დონეს მაღლა;
 - (ii) განთავსებული გემის ცენტრ ხაზზე ან მაქსიმალურად ახლოს;
 - (iii) განთავსებული ისე, რომ მარტივი არ იყოს გემბანის სამუშაო უბანზე წვდომა;

- (iv) უზრუნველყოფილი უწყვეტი ბაქანი სულ მცირე 1 მ სიგანეში;
 - (v) აშენებული ცეცხლ გამძლე და გლუვი მასალის;
 - (vi) დამონტაჟებული დამცავი რელსებით გაგრძელებული მისი სიგრძის ყოველ კუთხეზე; დამცავი რელსები უნდა შეადგენდეს სულ მცირე 1 მ-ს სიმაღლეში რეგულაცია 25(3)-ის შესაბამის კურსებში და მხარდაჭერილი გამოყოფილი ადგილებით არა უმეტეს ერთმანეთისაგან 1.5 მ-ზე დაშორებით;
 - (vii) უზრუნველყოფილი ყოველ კუთხეზე ფეხით გაჩერების საშუალება;
 - (viii) ღიობები, კიბეებებით, სადაც საჭიროა გემბანზე და გემბანიდან. ღიობები არ უნდა აღემატებოდეს 40 მ-ს ერთმანეთისაგან მოშორებით ; და
 - (ix) თავშესაფარები გასასვლელებში არა ნაკლებ 45 მ ინტერვალებისა არ უნდა აღემატებოდეს 45 მ -ს იმ შემთხვევაში, თუ დაუცველი გემბანის სიგრძე უნდა იქნას გადაკვეთილი, როდესაც აღემატება 70 მ-ს. ყოველ თავშესაფარს უნდა შეეძლოს დააბინაოს სულ მცირე ერთ ადამიანი და უნდა იყოს ისე აშენებული, რომ ამინდის პირობები იქნას დაცული, რათა იყოს საშუალება დაცულ იქნას ამინდის პირობები გემის წინ, პორტზე და მარჯვენა ბორტის მხარეს.
- (f) მუდმივი საცალფეხო ბილიკი განთავსებულია წყალზედა ბორტის გემბანის დონეზე გემის ცენტრის ხაზზე ან მასთან მაქსიმალურად ახლოს, იგივე სპეციფიკაციებით, რაც გასასვლელისათვის იყო ჩამოთვლილი (e)-ში, გამონაკლისი არის ფეხით გაჩერების საშუალებები. 'B' ტიპის გემებზე (დამოწმებული სითხეების გადაზიდვებზე) ლიუკების კომინგსების გაერთიანებულ სიმაღლეზე და დამონტაჟებული ლიუკის სახურავი არა ნაკლებ 1 მ სიმაღლით, ლიუკის კომინგსი შეიძლება მიღებულ იქნას, როგორც საცალფეხო ბილიკის ერთი კუთხის წარმოქმნა იმ პირობით, რომ დამცავი რელსების ორი რიგი დამონტაჟებულია ლიუკებს შორის.
- (3) დაშვებული განივი ლოკაციები მექანიზმებისათვის, რომლებიც პარაგრაფი 2-ის პუნქტებში (c), (d) და (f)-შია მოცემული, როდესაც შესაბამისი:
- (i) გემის ცენტრის ხაზზე, ან მაქსიმალურად ახლოს; ან

დამონტაჟებულია ლიუკებზე ან გემის ცენტრალური ხაზის ახლოს;

- (ii) დამონტაჟებულია გემის ყველა კუთხეზე;
 - (iii) დამონტაჟებულია გემის ერთერთ კუთხეზე იმ პირობით, რომ მოეწყობა ფიტინგი რომელიმე კუთხეზე;
 - (iv) დამონტაჟებულია გემის მხოლოდ ერთ მხარეზე;
 - (v) დამონტაჟებულია ლიუკების ყოველ კუთხეზე, მაქსიმალურად ახლოს ცენტრთან.
- (4) (a) როდესაც სადენის ბაგირები დამონტაჟებულია, სხვადასხვა პირიანი დამჭერი უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რათა გარანტირებულ იქნას მათ დაჭიმულობა.
- (b) როდესაც საჭიროა გემის, ფოლადის სადენის ბაგირები შეიძლება მიღებულ იქნას დამცავი რელსების ნაცვლად.
- (c) როდესაც გემის ნორმალური ოპერირებისათვის, ჯაჭვები დამონტაჟებული ორ ფიქსირებულ საყრდენ ბოძს შორის მისაღებია დამცავი რელსების ნაცვლად.
- (d) როდესაც საყრდენი ბოძები დამონტაჟებულია, ყოველი მესამე საყრდენი ბოძი მხარდაჭერილ უნდა იქნას კრონშტეინით ან სადგარით.
- (a) მოსახსნელი ან ფიქსირებული საყრდენი ბოძების დაფიქსირება შესაძლებელი უნდა იყოს ვერტიკალურ პოზიციაში;
- (e) წინააღმდეგობების გავლის საშუალებები, როგორებიცაა მილსადენები ან მუდმივი ბუნების სხვა ფიტინგები უნდა იქნას უზრუნველყოფილი.
- (f) ძირითადად, გასასვლელის ან გემბანის დონის საცალფეხო ბილიკის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს.
- (4) ტანკერებისათვის, რომლებიც სიგრძეში 100 მ-ზე ნაკლებია, გასასვლელი ბაქანი ან გემბანის დონის მინიმალური სიგანე პარაგრაფი (2)-ის პარაგრაფების (e) ან (f)-ის შესაბამისად ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება შემცირდეს 0.6 მ-მდე.

რეგულაცია 26

ტიპი 'A' გემებისათვის სპეციალური პირობების განსაზღვრა

მანქანა-დანადგარების გრაგნილები

- (1) მანქანა-დანადგარების გრაგნილები ტიპი 'A'-ს გემებზე რეგულაცია 27-ში განსაღვრული შესაბამისად დაცული უნდა იქნას შემდეგი მექანიზმებით:
 - (a) დახურული კიჩო ან ხიდი სულ მცირე სტანდარტულ სიმაღლეზე;
ან
 - (b) შესაბამისი სიმაღლის გემბანის სალონი და შესაბამისი სიმძლავრე.
- (2) მართვის მექანიზმის გრაგნილები შეიძლება თუმცა დაუცველია იმ შემთხვევაში, თუ არ არის რაიმე ტიპის ღიობი, რომელიც პირდაპირ წვდომას უზრუნველყოფს წყალზედა ბორტის გემბანიდან მართვის მექანიზმის სივრცემდე. კარები, რომელიც შეესაბამება რეგულაცია 12-ს მისაღებია მართვის მექანიზმის გრაგნილში იმ პირობით, რომ მას მივყავართ სივრცემდე ან გასასვლელ გზამდე, რომელიც აშენებულია ძლიერად, როგორც გრაგნილი და გაცალკევებულია კიბიდან ძრავის ოთახამდე მეორე წყალგაუმტარი ფოლადის ან სხვა შესაბამისი მასალით დამზადებული კარით.

გასასვლელი და წვდომა

- (3) გემის წინა ცხვირის და კიჩოს გასასვლელი აშენებულია რეგულაცია 25-1-ის პარაგრაფი (2)-ის ქვეპარაგრაფი (e)-ის შესაბამისად, დამონტაჟებულ უნდა იქნას 'A' ტიპის გემებზე გემბანის დაშენების დონეზე კიჩოს და გემის შუაგულის ხიდს შორის ან გემბანის სალონი, სადაც დამონტაჟებულია. მექანიზმი, რომელიც შედის რეგულაცია 25-1-ის პარაგრაფი (2)-ის ქვეპარაგრაფი (a)-ს შესაბამისად გათვალისწინებულია წვდომის შესაბამის საშუალებაზე გასასვლელის მიზნის დასადგენად.
- (4) უსაფრთხო წვდომა გასასვლელის დონედან ხელმისაწვდომი გახდება ეკიპაჟის ცალკე გამოყოფილ დაბინავების ადგილას და აგრეთვე ეკიპაჟის დაბინავების და მანქანა-დანადგარების სივრცეებს შორის.

ლიუკები

- (5) დაუცველი ლიუკები წყალზედა ბორტის გემბანებზე ან საბარგულების თავში 'A' ტიპის გემებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეფექტური წყალგაუმტარი ფოლადის ან შესაბამისი მასალის სახურავებით.

შტორმის მექანიზმები

- (6) 'A' ტიპის გემები საყრდენებით უნდა ფლობდნენ ღია რელსებს, რომლებიც დამონტაჟებულია სულ მცირე ამინდის გემბანის ნახევარ

სიგრძეზე ან სხვა შესაბამის შტორმის მექანიზმზე. შტორმის პორტის ფართობი საყრდენის დაბალ ნაწილში, საყრდენების საერთო ფართობის 33% მისაღები ექვივალენტური შტორმის მექანიზმია. კურსის ზედა ნაპირი უნდა იქნას შენარჩუნებული მაქსიმალურად დაბლა.

- (7) როდესაც დაშენებები დაკავშირებულია საბარგულებით, ღია რელსები უნდა იქნას დამონტაჟებული წყალზედა ბორტის გემბანის მთლიანი სიგრძის დაუცველ ნაწილზე.

თავი III

წყალზედა ბორტები

რეგულაცია 27

გემების ტიპები

- (1) წყალზედა ბორტების გამოთვლის მიზნით გემები უნდა გაიყოს ორ ნაწილად 'A' ტიპის და 'B' ტიპის გემებად.

'A' ტიპის გემები

- (2) 'A' ტიპის გემი არის გემი, რომელიც:
- (a) განკუთვლილია მხოლოდ თხევადი ტვირთების გადასატანად;
 - (b) ფლობს დაუცველი გემბანის მაღალ ერთიანობას მხოლოდ პატარა შესასვლელი ღიობით ტვირთის განსათავსებლად, დახურულია წყალგაუმტარი შუასადებიანი ფოლადის ან შესაბამისი მასალის სახურავებით; და
 - (c) გააჩნია ტვირთით დატვირთული განყოფილების დაბალი შეღწევადობის დონე.
- (3) 'A' ტიპის გემი იმ შემთხვევაში, თუ სიგრძეში 150 მ-მდეა, რომელზეც წყალზედა ბორტი ნაკლები 'B' ტიპის გემზე იქნა განსაზღვრული, როდესაც დატვირთვა პარაგრაფი (11)-ის მოთხოვნების შესაბამისად შეძლებს ნებისმიერმა განყოფილებამ გაუძლოს წყალდიდობას, სავარაუდო შეღწევადობით 0.95, დაზიანების სავარაუდო შეფასებები მოცემული პარაგრაფ (12)-ში და რჩება წყლის ზედაპირზე მოტივტივე შესაბამისი დამაკმაყოფილებელი პირობების დროს, პარაგრაფ (13) განსაზღვრული დებულებების თანახმად. აღნიშნული ტიპის გემში მართვის მექანიზმიის სივრცე უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც წყალდიდობის განყოფილება, მაგრამ შეღწევადობის 0.85 დონით.
- (4) 'A' ტიპის გემი უნდა განისაზღვროს წყალზედა ბორტად არა ნაკლებ ცხრილ 28.1-ში მოცემული მონაცემებისა.

‘B’ ტიპის გემები

- (5) ყველა გემი, რომელიც არ შეესაბამება ‘A’ ტიპის გემების შესახებ არსებულ დებულებებს პარაგრაფებში (2) და (3) უნდა ჩაითვალოს ‘B’ ტიპის გემებად.
- (6) ‘B’ ტიპის გემები, რომელიც პოზიცია 1-ში ფლობენ ლიუკების სახურავებს, რომელიც დასვეებულია ადმინისტრაციის მიერ, რათა დაცულ იქნას რეგულაცია 15-ის დებულებები (პარაგრაფი (6)-ის გარდა)ან რომელიც აღჭურვილია დამცავი მექანიზმებით მიღებული რეგულაცია 16-ის პარაგრაფი (6)-ის დებულებების თანახმად, უნდა ჩაითვალოს წყალზედა ბორტად ცხრილ 28.2-ში მოცემული მაჩვენებლების საფუძველზე, გაზრდილი ცხრილ 27.1-ში მოცემული მაჩვენებლებით:

წყალზედა ბორტის ზრდა, წყალზედა ბორტის 'B' ტიპის გემების ცხრილთან
სედარებით, გემების ლიუკების სახურავებისათვის რეგულაცია 15-ის დებულებების
შესაბამისად (გარდა პარაგრაფი (6)-ისა)

გემის სიგრძე (მ)	წყალზედა ბორტის ზრდა (მმ)	გემის სიგრძე (მ)	წყალზედა ბორტის ზრდა (მმ)	გემის სიგრძე (მ)	წყალზედა ბორტის ზრდა (მმ)
108 and below	50	139	175	170	290
109	52	140	181	171	292
110	55	141	186	172	294
111	57	142	191	173	297
112	59	143	196	174	299
113	62	144	201	175	301
114	64	145	206	176	304
115	68	146	210	177	306
116	70	147	215	178	308
117	73	148	219	179	311
118	76	149	224	180	313
119	80	150	228	181	315
120	84	151	232	182	318
121	87	152	236	183	320
122	91	153	240	184	322
123	95	154	244	185	325
124	99	155	247	186	327
125	103	156	251	187	329
126	108	157	254	188	332
127	112	158	258	189	334
128	116	159	261	190	336
129	121	160	264	191	339
130	126	161	267	192	341
131	131	162	270	193	343
132	136	163	273,	194	346
133	142	164	275	195	348
134	147	165	278	196	350
135	153	166	280	197	353
136	159	167	283	198	355
137	164	168	285	199	357
138	170	169	287	200	358

გემის წყალზედა ბორტი შუალედურ სიგრძეებზე შეიძლება მიღებულ
იქნას წრფივი ინტერპოლაციით. გემები სიგრძეში 200 მ-ზე მეტი
სიგრძით შეთანხმებულ უნდა იქნას ადმინისტრაციასთან.

ცხრილი 27.1

- (7) 'B' ტიპის გემები, რომლებიც პოზიცია 1-ში ფლობენ ლიუკებს
აღჭურვილს ლიუკის სახურავებით, რომლებიც რეგულაცია 16-ის
პარაგრაფების (2)-(5) -ის მოთხოვნებს შეესაბამება უნდა იყოს
გამონაკლისი პარაგრაფების (8)-(13) ინკლუზიურად, უნდა
განისაზღვროს ცხრილ 28.2-ზე დაყრდნობით.
- (8) ნებისმიერი 'B' ტიპის გემი სიგრძეში 100 მ-მდე უნდა ჩაითვალოს
წყალზედა ბორტებად, რომელიც ნაკლები ვიდრე პარაგრაფ (7)

მოცმული მოთხოვნები იმ პირობით, რომ მინიჭებული უფლებით განხორციელებულ შემცირებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის შემდეგი მოთხოვნები უნდა იქნას დაკმაყოფილებული:

- (a) ეკიპაჟის დამცავი ზომები უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამის დონეზე;
- (b) შტორმის მექანიზმები უნდა იყოს სათანადო;

- (c) სახურავები პოზიცია 1-სა და 2-ში უნდა შეესაბამებოდეს რეგულაცია 16-ის პარაგრაფებს (1)-(5) და (7); და
 - (d) გემი, როდესაც დატვირთულია პარაგრაფი (11)-ის მოთხოვნების შესაბამისად, შეძლებს ნებისმიერმა განყოფილებამ გაუძლოს წყალდიდობას, სავარაუდო შეღწევადობით 0.95, დაზიანების სავარაუდო შეფასებები მოცემული პარაგრაფ (12)-ში და რჩება წყლის ზედაპირზე მოტივტივე შესაბამისი დამაკმაყოფილებელი პირობების დროს, პარაგრაფ (13) განსაზღვრული დებულებების თანახმად. აღნიშნული ტიპის გემში მართვის მექანიზმის სივრცე უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც წყალდიდობის განყოფილება, მაგრამ შეღწევადობის 0.85 დონით.
- (9) 'B' ტიპის გემებისათვის წყალზედა ბორტის გამოთვლაში, როლებიც შეესაბამება პარაგრაფები (8), (11), (12) და (13)-ის მოთხოვნებს, მაჩვენებლები ცხრილი 28.2-იდან არ უნდა იქნას შემცირებული სხვაობის 60% მეტით ცხრილის მაჩვენებლებს შორის ცხრილ 28.1 და 28.2 გემის შესაბამისი სიგრძისათვის.
- (10) (a) ცხრილის წყალზედა ბორტის დაშვებული შემცირება პარაგრაფი (9)-ის შესაბამისად შეიძლება გაიზარდოს საერთო განსხვავებამდე ცხრილ 28.1-ში მოცემულ მაჩვენებლებში და აღნიშნული ცხრილ 28.2-ში პირობაზე, რომ გემი შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:
- (i) რეგულაცია 26, გარდა პარაგრაფი (5)-ისა, ვინაიდან თუ ის ტიპი 'A'-ს გემი იქნებოდა;
 - (ii) პარაგრაფები (8), (11) და (13); და
 - (iii) პარაგრაფი (12), იმ პირობით, რომ გემის სიგრძის გასწვრივ ნებისმიერი ერთი ტრანსვერსიის ტიხარი სავარაუდოდ ჩაითვლება დაზიანებულად ისე, რომ ორი ახლოს მდებარე გემის ცხვირის და კიჩოს ნაკვეთური ჩაირეცხოს ერთდროულად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული დაზიანება არ გავრცელდება მანქანა-დანადგარების სასაზღვრო ტიხრებზე.
- (b) აღნიშნული ტიპის გემში, თუ 150 მ სიგრძემდე მართვის მექანიზმის სივრცე ითვლება, რომ წყალდიდობის ნაკვეთურად, მაგრამ შეღწევადობით 0.85.

დატვირთვის საწყისი პირობა

- (11) დატვირთვის საწყისი პირობა წყალდიდობამდე უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:
- (a) გემი დატვირთულია დატვირთვის ზაფხული პერიოდის წყლის ხაზზე წარმოსახვით სწორ კილზე.
 - (b) როდესაც ითვლება გრავიტაციის ვერტიკალური ცენტრი ვრცელდება შემდეგი პირობები:
 - (i) ერთგვაროვანი ტვირთის გადაზიდვა ხდება;

- (ii) ტვირთის ყველა ნაკვეთური, გარდა ქვე-პარაგრაფი (iii)-ში მოცემული პირობისა, თუმცა მოიცავს ნაკვეთურებს, რომლებიც განკუთვნილია ნაწილობრივ შესასვსებად, ჩაითვლება სრულად დატვირთულად გარდა იმ შემთხვევისა, რომ თხევადი ტვირთების შემთხვევაში, ყოველი ნაკვეთური ჩაითვლება 98% სავსედ;
- (ii) იმ შემთხვევაში, თუ გემი განკუთვნილია ზაფხულის პერიოდის დატვირთვის ხაზად ოპერირებისათვის, აღნიშნული ტიპის ნაკვეთურები უნდა ჩაითვალოს ცარიელად იმ პირობით, რომ გრავიტაციის ცენტრის სიმაღლე ასე გამოთვლილი არ უნდა იყოს ქვეპარაგრაფი (ii)-ს შესაბამისად გამოთვლილი მაჩვენებლის;
- (iii) 50% ინდივიდუალური საერთო შესაძლებლობა ავზების და სივრცეების აღჭურვილი, რათა შეიცავდეს გამოყენებად სითხეებს და შენახვა აქედან გამომდინარე დასაშვებია ყოველი ტიპის სითხისათვის სულ მცირე ერთი განივი წყვილი ან ერთი ცენტრის ხაზის ავზი, რომელსაც გააჩნია მაქსიმალურად თავისუფალი ზედაპირი და ისინი როდესაც თავისუფალია ზედაპირის გავლენა არის ყველაზე დიდი; ყოველ ავზში გრავიტაციის ცენტრის შიგთავსი უნდა იქნას მიღებული ავზის მოცულობის ცენტრში. დარჩენილი ავზები სავარაუდოდ მთლიანად ცარიელია ან მთლიანად სავსეა, და გამოყენებადი სითხეების განაწილება აღნიშნულ ავზებში გავლენას მოახდენს, რათა მიღებულ იქნას უმაღლესი შესაძლებლობის სიმაღლე გრავიტაციის ცენტრის კილის ზემოთ;
- (iv) წვერის კუთხეზე არა უმეტეს 5° ყოველ ნაკვეთურში, რომელიც მოიცავს სითხეებს ქვეპარაგრაფ (ii)-ში განსაზღვრულის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკვეთურებში შედის გამოყენებადი სითხეები ქვეპარაგრაფ (iv)-ში აღწერილის შესაბამისად, მაქსიმალური თავისუფალი ზედაპირის გავლენა გათვალისწინებულ იქნება ალტერნატიულად, აქტუალური თავისუფალი ზედაპირის გავლენები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირობით, რომ კალკულაციის მეთოდები მისაღებია ადმინისტრაციისათვის;
- (v) წონების გამოთვლა უნდა მოხდეს შემდეგ მაჩვენებლებზე დაყრდნობით სპეციფიკური გრავიტაციებისათვის:

მარილ-წყალი	1.025
ახალი წყალი	1.000
ნავთობის საწვავი	0.950
დიზელის საწვავი	0.900
საპოხი მასალები	0.900.

ზიანის სავარაუდო სეფასება

- (12) სავარაუდო დაზიანების მახასიათებლებთან დაკავშირებით ვრცელდება შემდეგი პრინციპები:

- (a) დაზიანების ვერტიკალური გაფართოება ყველა შემთხვევაში ნავარაუდევია, რომ იყოს საბაზისო ხაზიდან ზემოთ ლიმიტის გარეშე.
- (b) დაზიანები ტრანსვერსული გაფართოება შეადგენს B/5 -ს ან 11.5 მ-ს, რომელიც უფრო ნაკლებია, გაზომილია ბორტის შიგნით გემის კუთხიდან პერპენდიკულარულად ცენტრის ხაზზე ზაფხულის პერიოდის დატვირთვის წყლის ხაზზე.
- (c) იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება ნაკლები გაფართოებისაა, ვიდრე სპეციფიკური ქვეპარაგრაფებში (a) და (b) შედეგები უფრო მკაცრ პირობებში, აღნიშნული ტიპის ნაკლები გაფართოება უნდა იქნას ნავარაუდევი.
- (d) გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის მოთხოვნილი პარაგრაფი (10)-ის ქვეპარაგრაფი (a)-ს მეშვეობით, წყალდიდობა უნდა შემოიფარგლოს ერთ ნაკვეთურზე მიმდებარე ტრანსვერსულ ტიხრებს შორის იმ პირობით, რომ შიდა გრძივი საზღვარი ნაკვეთურის არ არის პოზიციაში ტრანსვერსული გაფართოების სავარაუდო დაზიანების. ავზების ფრთების განივი საზღვრის ტიხრები, რომლებიც არ გრძელდება გემის სრულ სიგანეზე უნდა ჩაითვალოს, როგორც დაუზიანებელი იმ პირობით, რომ ისინი გრძელდება ტრანსვერსული გაფართოების საზღვრებს გარეთ სავარაუდო დაზიანების შესახებ ქვეპარაგრაფ (b)-ში მითითებული შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ განივ ტიხრებში საფეხურებია ან ჩაღრმავებები არა უმეტეს 3 მ სიგრძეში, განთავსებულია სავარაუდო დაზიანების განივი გაფართოების ფარგლებში ქვეპარაგრაფ (b)-ში განსაზღვრულის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის განივი ტიხარი შეიძლება ჩაითვალოს დაუზიანებლად და მიმდებარე ნაკვეთური შეიძლება იყოს მხოლოდ წყალდიდობის საშიშროების ქვეშ მდგომი. იმ შემთხვევაში, თუ განივი გაფართოების ფარგლებში არის საფეხური ან ჩაღრმავება 3 მ-ზე გრძელი სიგრძეში განივ ტიხარში, ორი მიმდებარე ნაკვეთური აღნიშნულ ტიხარზე უნდა ჩაითვალოს წყალდიდობაში მოყოლილად. საფეხური წარმოქმნილი ტიხარის ზღვრული მაჩვენებლის შემდეგ და ავზის ზღვრული მაჩვენებლის შემდეგ არ უნდა იქნას განხილული, როგორც წინამდებარე რეგულაციის მიზნობრიობის საფეხური.

